საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, ცოგორიც ბიჭევური სიცყვაა, ცყვილებით და ჭირებით ბუნთის გაცანა ცკვილა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 16 ოქტომბერი. 2023 წ. №116 (9648) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

უნდა გადარჩე,

იერუშალაიმ!..

რატომ არის იერუსალიმი მნიშვნელოვანი ებრაელებისთვის? ერთი, რომ აქ მდებარეობდა დავითისა და სოლომონის დედაქალაქი, მაშინ, როდესაც ისრაელი გაერთიანებული, დიდი სახელმწიფო იყო.

იხ. 8 გვ.

სულ ბრძოლის, სისხლის, სიკვდილის პოლიგონია, არადა, წმინდა მიწა, აღთქმული მიწა ჰქვია!

თამაზი, თინა, ოთარი

წავიდა გენიოს ძმებთან „თინა – დედის მაგიერი“...

გარდაიცვალა ოთარ და თამაზ ჭილაძეების და

თინა ჭილაძე.

თინა ჭილაძემ ყველასთვის საგულისყურო წიგნი დაწერა. მისი პირადი ცხოვრება თავიდანვე და ბუნებრივად გახდა სახელოვანი ძმების თანამდევი, რამაც წიგნის ავტორი უამრავი შინაურული თუ საზოგადო ამბის თვითმხილველი გახადა. დოკუმენტურ პროზაში უმნიშვნელო დეტალი არ არსებობს, მით უფრო, თუ ის გულწრფელად და მაღალი ოსტატობითაა დაწერილი. თინა ჭილაძე „თამაზთან და ოთართან ერთად“ შთამბეჭდავად აგრძელებს ქართული ავტობიოგრაფიული პროზის ტრადიციებს ...

„...და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი“ **(ო. ჭილაძე).**

ბედნიერი და უკვდავია ქართველი ერი თქვენი სახელით და შემოქმედებით, ჭილაძეებო!

რედაქცია

მოღალატეთა გალერეა

რა მოხდა ლარნაკაზე?

იხ. 5 გვ.

„ტუპოი“ ხაბეს უტოპია

ფეხბურთი

საქართველო - კვიპროსი 4:0

როცა ევრო-2024-ის შესარჩევი რაუნდის წილისყრა მოეწყო, ჩვენი ჯგუფის აუტსაიდერად სპეციალისტებმა ერთხმად მიიჩნიეს თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი კვიპროსის საფეხბურთო ნაკრები. ტურნირის მსვლელობამ სავსებით დაადასტურა აღნიშნული პროგნოზის საფუძვლიანობა.

კუნძულელებს გუშინდლამდე ყველა მატჩი წაგებული ჰქონდათ, მათ შორის შინ საქართველოს ეროვნულ გუნდთან — 1:2, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვილი სანიოლის შებღალული ავტორიტეტის აღსადგენად ფავორიტის როლთან ერთად მასპინძლებს მიხვეილ მესხის სტადიონზე საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯვაროსნებმა საკვალიფიკაციო ციკლში მეორე გამარჯვება მოიპოვეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს მეოთხე ადგილის დაკავებისკენ, აუტსაიდერი სტუმრები კი ველარაფრით დააღწევენ თავს ბოლო პოზიციას და, სავარაუდოდ, მათ ქართველ მწვრთნელსაც მოუწევს პოსტის დატოვება.

„რა განძი გვქონია“...

დიდოსტატი არსენ ფოჩხუა

ეროვნულ მუზეუმში არსენ ფოჩხუას გამოფენა წლის ბოლომდე გიმასპინძლებთ

იხ. 7 გვ.

ომი ტურიზმის ② პირველი მტერია!



დავით ქართველიშვილი:

ძალიან მკაფიოდ იკვეთება საქართველოში და ისრაელში ანტისახელისუფლებო „აყირავებებში“ ნაცნობი სცენარები და საორგანიზაციო ხელი...

„დღეს ოდნავ ავხადოთ ფარდა „გლობალური ომის პარტიის“ ლოკალური ხასიათის ინტერესებს ისრაელ – პალესტინის ომში. ჩვენ უკვე უკუვაგდეთ ყველანაირი „თუ“ ისრაელის თავდაცვის და სპეცსამსახურების „დახარვეზებულ“ მუშაობაში ეჭვების შეტანასთან დაკავშირებით. ჩემი სამუშაო ვერსიაა – „გაუჩალიჩეს“. ვის? ბენიამინ ნეთანიაჰუს მთავრობას. ვინ? იგივე ძალამ, ვინც „უჩალიჩებდა“ მას საგაზაფხულო ვერშემდგარ „მაიდანს“ - ამის შესახებაც უკვე საკმარისად ვისაუბრეთ.

დღეს „ძველაღთქმისეული“ ისრაელი „გლობალური ომის პარტიისთვის“ ლიბერალური იდეოლოგიის თვალსაზრისით უფრო ახლოსაა, ვიდრე კონსერვატიული ვატიკანი და მისი ეკლესიის მცდელობა დასავლურ სამყაროში ტრადიციონალიზმის აღირძინების კუთხით. წელიწადი არ გადის, ისრაელში არ ჩატარდეს მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური გეი-აღლუმი და ამ კომპონენტში ის არის ერთადერთი ქვეყანა აზიაში.

იყო მცდელობა თურქეთში, თუმცა ჩვენ ვნახეთ, თუ რითი დასრულდა იგი. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის „გლობალური ომის პარტიას“ – ნეთანიაჰუ, რომელიც თეთრ სახლში რესპუბლიკელების სავარაუდო დაბრუნებამდე, სასწრაფოდ ჰყავთ შესაცვლელი თავისი ზეგავლენის ქვეშ მყოფი იაირ ლაპიდით. ამისთვის პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, კოალიციური „თანხმობის მთავრობის“ ჩამოყალიბების სახით. როგორც არ უნდა დასრულდეს ეს „ომი“, ნეთანიაჰუს მიერ საკუთარი პოსტის და მინისტრთა კაბინეტის შენარჩუნების შანსები ძალიან მწირია. ხოლო „ღაზას სექტორი“ ყველა ვარიანტში განწირულია – ის თამაშობს ისრაელის მომავალი მთავრობისათვის მადლიერების ნიშნად მირთმეულ „მზითევს“. თუ ამ მოსაზრებას აქვს თავისი ლოგიკური და ანალიტიკური დაშვების საფუძველი, ყველაზე დიდი ცინიზმი, რომელიც დამახასიათებელია „გლობალური ომის პარტიისთვის“ იმაშია, რომ სწორედ აშშ-ს დემოკრატების ხელისუფლება წარმოადგენდა პალესტინის ყველაზე დიდ მეკავშირეს, რის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ენტონი ბლინკენისა და მაჰმუდ აბასის არაერთი მოლაპარაკების პროცესი, სადაც ამ უკანასკნელმა ოფიციალურად ცნო ვაშინგტონის პრიორიტეტული და ექსკლუზიური როლი საკუთარი პრობლემების მოგვარებაში. თუ როგორ „უგვარებს“, ძალიან კარგად ჩანს.

ძალიან მკაფიოდ იკვეთება საქართველოში და ისრაელში ანტისახელისუფლებო „აყირავებებში“ ნაცნობი სცენარები და საორგანიზაციო ხელი. რისთვის სჭირდებოდათ აქ სანუკვარი მიზნების მისაღწევად „მეორე ფრონტი“? შეხედეთ ისრაელს. რას გვთავაზობდნენ „ღაზას სექტორის“ მსგავს „მზითევში“? სოხუმის და ცხინვალის პრობლემების „მოგვარებას“. ისრაელის „თანხმობის მთავრობა“ ხომ არ გაგონებთ აქაური „ტექნიკური მთავრობის“ შექმნის იდეას? ნუ... თუ მაინც დაუჯერებელი ან ალოგიკურია ჩემი მოსაზრება - მაშინ დაველოდოთ საექსპერტო მიმოხილვებს“, – წერს „ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი, **დავით ქართველიშვილი.**

ალექსეი არესტოვიჩი: უკრაინის ხელმძღვანელობა კორუმპირებული და არაადეკვატურია...

უკრაინის ხელმძღვანელობა კორუმპირებული და არაადეკვატურია, ზეწოლას ახდენს გიზნესზე, სამოქალაქო თავისუფლებებსა და პოლიტიკურ კონკურენტებზე, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი, ალექსეი არესტოვიჩი სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, უკრაინის ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვა, რამაც მდგომარეობა სტრატეგიულ ჩიხამდე მიიყვანა. ბახმუტის დაცვაში ქვეყნის არმიამ უდიდესი რესურსი დახარჯა, რის გამოც სამხრეთში ახლა რესურსების ნაკლებობაა.

„რუსეთს, თავისი ყველა ნაკლოვანების მიუხედავად, აქვს რეალური სუვერენიტეტი, მაგრამ ჩვენ არა. რუსეთი იღებს კანიბალურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ არსებული სიტუაციის ადეკვატური გადაწყვეტილებებია, ჩვენი ხელმძღვანელობა კი კორუმპირებულია და არაადეკვატური – როგორც ჩვენი მთავარი სპონსორები და პარტნიორები მუდმივად აღნიშნავენ. **ეს პოლიტიკა ჩიხში მიგვიყვანს. ჩვენმა ხელმძღვანელობამ, ჩემი აზრით, დიდი ხნის წინ ამოწურა თავისი კომპეტენციის ზღვარი. მათ არც კი სურთ ხალხს სიმართლე უთხრან – 1991 წელს საზღვრები არ იქნება და უახლოეს მომავალში ყირიმი არ იქნება, მაგრამ იქნება თავდაცვა, სისხლი, ოფლი, ცრემლები“,** – გააცხადა ალექსეი არესტოვიჩმა.

უკრაინის ფინანსური დახმარება მცირდება

უკრაინას სულ უფრო უჭირს ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ვინაიდან ძირითად დონორ ქვეყნებში მაღალჩინოსანთა ყურადღება მომავალ არჩევნებზე ინაცვლებს და გეოპოლიტიკური დაძაბულობა იზრდება, – ამის შესახებ სააგენტო „როიტერს“ უკრაინის ფინანსთა მინისტრმა, სერგეი მარჩენკომ განუცხადა.

„მე ვხედავ დიდ დაღლილობას, სისუსტეს ჩვენს პარტნიორებს შორის. ისინი ისურვებდნენ, დაევიწყათ ომის შესახებ, თუმცა ეს ომი, ფართომასშტაბიანი, ჯერ კიდევ გრძელდება“, – განაცხადა მარჩენკომ, რომელიც მარაკეშში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეხვედრებს ესწრება.

უკრაინელი მინისტრის თქმით, აპრილში გამართულ ბოლო შეხვედრასთან შედარებით, უკრაინას ახლა ორჯერ მეტი ძალისხმევა სჭირდება პარტნიორების დასარწმუნებლად, რომ მას მხარდაჭერა აღმოუჩინონ.

როგორც „როიტერი“ წერს, უკრაინას დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, რათა 2024 წელს მიუჯეტში 43 მილიარდი დოლარის ოდენობის დანაკლისი დაფაროს. სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმდინარე კვირას გამართულ მოლაპარაკებებს ჩრდილი მოჰფინა ისრაელსა და „ჰამასს“ შორის კონფლიქტმა, რომელიც მაშინ გაჩაღდა, როდესაც დელეგატები მარაკეშისკენ მიემგზავრებოდნენ. სერგეი მარჩენკომ აშშ-სა და ევროკავშირში მომავალ წელს დაგეგმილ არჩევნებს გაუსვა ხაზი. მისი თქმით, გეოპოლიტიკური ძვრა და შიდა პოლიტიკური კონტექსტი მრავალ ქვეყანაში ასუსტებს მთავრობების მზადყოფნას, მხარდაჭერა აღმოუჩინონ უკრაინას.

შემოსავლების სამსახური

ისევ ტყუილი, უზნეობა, სრული სიცრუე!

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადებით, მედიაში გასული სიუჟეტი, სადაც მტკიცებით ფორმაში ითქვა, თითქოს ხელთ აქვთ ე.წ „უტყუარი მტკიცებულებები“ თუ როგორ უპრობლემოდ აგვარებენ რუსეთის მოქალაქეები ავტომობილების გაყვანას კანონის გვერდის ავლით“ და რომ რუსეთი მკაცრ სანქციებს საქართველოს დახმარებით არიდებს თავს, სრული სიცრუეა.

უწყება განმარტავს, რომ საქართველო სრულად და მტკიცედ იცავს საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცედურებს და არ არსებობს ამის საპირისპირო დამადასტურებელი არცერთი ფაქტი.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საჭიროდ თვლის დამატებითი განცხადება გააკეთოს, საქართველოს მიერ სანქციების აღსრულების შესახებ მომზადებულ მორიგ სიყალბესთან დაკავშირებით და განმარტოს შემდეგი:

2023 წლის 14 ოქტომბერს, ტელეკომპანია ,,ფორმულას“ მიერ, გადაცემა – „შაბათის ფორმულაში“ გასული სიუჟეტი იყო ცალსახად, დეზინფორმაციული შინაარსის და მისი გავრცელება კიდევ ერთხელ ემსახურება მაყურებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობას.

აღნიშნულ გადაცემაში მტკიცებით ფორმაში ითქვა, თითქოს მათ ხელთ ჰქონდათ ე.წ „უტყუარი მტკიცებულებები“ თუ როგორ უპრობლემოდ აგვარებენ რუსეთის მოქალაქეები ავტომობილების გაყვანას კანონის გვერდის ავლით“ და რომ რუსეთი მკაცრ სანქციებს საქართველოს დახმარებით არიდებს თავს, არის სრული სიცრუე და თავად მედია საშუალების მიერ შექმნილი ყალბი პროპაგანდა.

ასევე, ხაზგასმით აღვნიშნავთ, შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის ოპერატორის მიერ, მიწოდებული ინფორმაცია ავტორების მიერ არის არასრულად გავრცელებული და მოკლებულია ობიექტურ/მაიდინტიფიცირებელ განმარტებას. კონსულტაციის მიმდინარეობისას ოპერატორის მიერ, დეტალური ინფორმაციის გაცნობის მიზნით, მოხდა შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საინფორმაციო მმულის მიწოდება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველო სრულად და მტკიცედ იცავს საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცედურებს და არ არსებობს ამის საპირისპირო დამადასტურებელი არცერთი ფაქტი. ამასთან, რათა არ მოხდეს, უწყების მიერ, უკვე არაერთგზის, გავრცელებული განცხადებების/განმარტებების შინაარსის კვლავ დუბლირება გთხოვთ, იხილოთ შემდეგი მმულები:

https://rs.ge/Callcenterguides?Listofsanctionedgo ods,-personsandcompanies&guid=0641DC256C2915E9E0637A0-214AC6D8B; https://rs.ge/NewsArchive?newsId=1062

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ინფორმაციის გავრცელების მაღალი სტანდარტის შესაბამისად, მოუწოდებს მედიასაშუალებებს, თავი შეიკავონ საზოგადოებისთვის მცდარი ფაქტების მიწოდებისგან, უწყებისა და ქვეყნის დისკრედიტაციისგან“.

ომი ტურიზმის პირველი მტერია!

ახალი ომი ეკონომიკას დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს – რას დაკარგავს საქართველო?

ისრაელსა და პალესტინაში დაწყებული ომი გლობალურ ეკონომიკას საფრთხეს უქმნის. სამხედრო დავირისპირებით გამოწვეული ჩავარდნა გარკვეულ გავლენას იქონიებს საქართველოზეც. ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები სწორედ ახლა იწყებდა და მას შესაძლოა, პრობლემები შეექმნას.

ახლო აღმოსავლეთში სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებამ შესაძლოა, ცენტრალური ბანკები ახალი ინფლაციური ტენდენციების გამოწვევის წინაშე დააყენოს. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ცენტრალური ბანკების მოლოდინი, პანდემიითა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი ინფლაციის დასტაბილურების კუთხით.

უცხოელი ექსპერტების შეფასებით, კონფლიქტის არაპროგნოზირებადობამ გლობალური ეკონომიკა კიდევ უფრო ნაკლებად განჭვრეტადი გახადა. ამიტომ დიდია მოლოდინი, რომ აშშ-ის ფედერალური რეზერვი მაღალ საპროცენტო განაკვეთს დიდი ხნით შეინარჩუნებს.

შავი ზღვის დაბინძურების ფაქტზე სამი უცხოური გემი დაჯარიმდა

გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების 3 ფაქტი გამოავლინეს. უცხო ქვეყნების დროშების ქვეშ მცურავი სამი გემი 65-65 ათასი ლარით დაჯარიმდა.

გემებს საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჯარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცათ.

ცირკულარული ეკონომიკის პერსპექტივები საქართველოში

ერთ დიდ ხალიჩას უნდა ჰგავდეს ჩვენი ქვეყნის აგრარული რუკა!..

ცირკულარული ეკონომიკა და მისი პრინციპები სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ათეული წლების მანძილზე ქვეყანაში გაბატონებული იყო მიდგომა „აიღე-დაამზადე-გადააგდე“, ცხადია, რომ მფლანგველური ეკონომიკა თითქმის ნორმად იყო ქცეული. ყოველივე ამან გამოიწვია ბუნებრივი რესურსების, ფინანსების, ადამიანური რესურსების მასიური არამიზნობრივი გამოყენება. დღევანდელ დღეს დამოკიდებულება ამ დონის ეკონომიკის მიმართ მნიშვნელოვნად იცვლება.

დღეს უკვე შესაძლებელია საქართველოს ცირკულარობის დონის ეკონომიკის შეფასება. ამ მიმართულებით მოღვაწეობს არაერთი სპეციალისტი, მეცნიერი, ბიზნესმენი. მე განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილის ღვაწლი ამ მიმართულებით. მან არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა და შეიძლება ამ მიმართულებით ქვეყნის ერთ-ერთ ლიდერად ჩაითვალოს. მასთან მაკავშირებს უაღრესად სერიოზული საქმიანი ურთიერთობა.

თუ ვილაპარაკებთ სხვა მოღვაწეებზე ამ დარგში, აუცილებლად უნდა გამოვყოთ დოქტორი **დარიუშ პრასეკი** – ცირკულარული ეკონომიკის საკითხების საერთაშორისო კონსულტანტი, გუნდის ხელმძღვანელი – სმკ „ორქისი“, პროექტი „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასება“; დოქტორი **მედგარ ჭელიძე** – მდგრადი განვითარების საკითხებში საკვანძო ადგილობრივი ექსპერტი, გუნდის ხელმძღვანელის მოადგილე – სმკ „ორქისი“. პროექტი „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასება“; აკადემიკოსი **სოლომონ პავლიაშვილი** – საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე; დოქტორი **მარიამ ქიმერიძე** – სმკ „ორქისი“-ს თავმჯდომარე, პროექტის „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასება“ – მენეჯერი.

რა თქმა უნდა, ამ დარგს კიდევ სხვა ცნობილი სპეციალისტი ემსახურება, რომლებსაც ვერ ვასახელებ და შესაბამისად ბოდიშს მოვიხდი.

საქართველოს რომელ დარგებს შეიძლება მოუტანოს ცირკულარულმა ეკონომიკამ მნიშვნელოვანი გარდაქმნა, რა იქნება ის პირველი პოზიტიური შედეგი, რასაც საზოგადოება იგრძნობს, როგორ რეაგირებას მოახდენს ქვეყნის ხელმძღვანელობა მასიური ცირკულარული ეკონომიკის გამოყენებაზე... სავარაუდოდ, ყველა ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. ჩემი აზრით, ამ განსხვავებული ეკონომიკის გამოყენება აუცილებლად აგრარულ დარგებში უნდა დაიწყოს (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა), რომლებიც ქვეყნისთვის ეკონომიკურად გამორჩეულად მნიშვნელოვანია, ტრადიციულია და საკმაოდ ე.წ. „ნარჩენებსაც“ წარმოქმნის. ცხადია, შესაბამისად ახალი ტექნოლოგიების (ბიოტექნოლოგიების) დამუშავება გახდება საჭირო, რომლებიც ამ სუბსტრატების გადამუშავებით ღირებულ პროდუქციას მოგვცემს. ეს სიახლე, ამასთან ერთად, სხვა მოვლენებთანაც იქნება დაკავშირებული, მაგალითად, ეკოლოგიასთან. ის გარემოება, რომ დღეს საქართველო ტურიზმის ქვეყნად არის აღიარებული და ამაში ეჭვი არავის ეპარება, სწორედ ამიტომ, მაღალი დონის ტურიზმის განვითარების მიზნით, აუცილებელია სუფთა, უნარჩენო, აყვავებული ქვეყნის შექმნა, რაც ხორციელდება კიდეც, მაგრამ, აუცილებლად საჭიროებს დიდ ყურადღებას. შესაბამისად, ამ მიმართულების სწრაფი და ყოველმხრივი განვითარებისთვის აუცილებელია ახალი მიდგომების, ახალი ბიოტექნოლოგიების დამუშავება.



ძნელად თუ დაიკვეხნის ვინმე ჩვენი ქვეყნის მსგავსი გიომრავალფეროვნებით. საქართველო 30-მდე ნიადაგობრივ-კლიმატური ზონისაგან შედგება და ცხადია, ყველა ზონა, ყველა რეგიონი მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას. ერთ დიდ ხალიჩას უნდა ჰგავდეს ქვეყნის აგრარული რუკა.

ამას არავინ არ გაგვიკეთებს და ეს ჩვენი შესაქმნელია. სწორედ ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებით უნდა ხდებოდეს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივის ჩამოყალიბება, ყველა ქვეყანაში არსებული რესურსის გამოყენება. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეს მიდგომა მნიშვნელოვან წინსვლას მოუტანს ქვეყანას.

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიის გენერალური მრჩეველი, აკადემიკოსი

დავით გურგენიძე – 60

საიუბილეო 60 წელს ვულოცავთ ჩვენს კოლეგას, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრს, მრავალი სახელმწიფო ორდენებისა და მედლების კავალერს, სახელოვან მამულიშვილს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და მრავალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით

ვაჟა ნადირაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოლონაძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, როლანდ მიქაუტაძე.

ღვინის დაფასება და ტურიზმის განვითარება

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ფესტივალს „ღვინის დღეები“ ღვინის თემატიკაზე მომუშავე უცხოელი ჟურნალისტები ესტუმრნენ, Forbes-ის, Vinorandum-ის, VinceMagazine-ისა და სხვა გამოცემების წარმომადგენლები ღვინის ფესტივალთან ერთად საქართველოს ტურისტულ პოტენციალს აშუქებენ.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველოში „ღვინის დღეები“ მეორე წელია ტარდება. წელს 7-იდან 15 ოქტომბრის ჩათვლით „ღვინის დღეები“ 23 მუნიციპალიტეტში გაიმართა. გურჯაანში ღვინის ფესტივალს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე დაესწრო, სადაც ფესტივალის მონაწილეებს შეხვდა და მათ პროდუქტებს გაეცნო.

„ღვინის დღეები და მსგავსი ფესტივალები ხელს უწყობს როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას. ჩვენ აქ ვხედავთ მოგზაურებს როგორც სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც დღევანდელ ფესტივალს აღნიშნავენ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მუდმივად მხარს უჭერს ფესტივალების წახალისებას, ჩვენ ფესტივალზე ჩამოვიყვანეთ Forbes-ის და სხვადასხვა გამოცემების ჟურნალისტები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომ საქართველოს ღვინის დღეების, ღვინის კულტურის შესახებ, ტურიზმის შესახებ მთელ მსოფლიოს გავაგებინებთ, რომ შევძლოთ მეტი საერთაშორისო მოგზაური მოვიწვიოთ საქართველოში“, – განაცხადა მაია ომიაძემ.

მსოფლიო სურსათის დღე ზუგდიდში

დღეს 16 ოქტომბერს, ზუგდიდში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მსოფლიო სურსათის დღეს აღნიშნავენ.

მსოფლიო სურსათის დღე გაეროს ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია და ყოველ წელს მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაში აღინიშნება. წელს ამ დღის მთავარი გზავნილი წყლის, როგორც სასიცოცხლო რესურსის დაცვაა.

ამ დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდში, დადიანების სასახლის ბაღში ფერმერთა აგრარული ბაზარი, ხორბლისა და პურის გამოფენა, სურსათის უვნებლობის, სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შესახებ საინფორმაციო კუთხეები მოეწყობა, სახალისო საინფორმაციო აქტივობები ბავშვებისთვის და კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით; ასევე, შედგება FAO-ს ბენეფიციარი ფერმერის შესახებ მოკლე დოკუმენტური ფილმის ჩვენება და მისი, როგორც 2023 წლის „სურსათის გმირის“ დაჯილდოება.

მსოფლიო სურსათის დღე ზუგდიდში ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით აღინიშნება.

„წყალი არის სიცოცხლე, წყალი არის საკვები“ – ამ გზავნილით, წელს FAO-საზოგადოების ყურადღებას პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსზე ამახვილებს: წყალი პლანეტის ზედაპირის უდიდეს ნაწილს ფარავს, სხეულის თითქმის 50 პროცენტს შეადგენს და ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად 2030 წლის წესრიგის ფარგლებში. თუმცა, მტკნარი წყალი ამოწურვადი რესურსია. თუ მის მოხმარებასთან დაკავშირებით სასწრაფო ზომებს არ მივიღებთ... 2050 წლისათვის, პლანეტის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, წყლის მოხმარება, შეიძლება, სამჯერ გაიზარდოს. ეს კი ნიშნავს, რომ უკვე სარისკო ზღვარს ვუახლოვდებით. პროდუქტების შეძენისას ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება, ნაკლები წყლის დახარჯვა და წყალდიდობებისა და დაბინძურების პრევენცია იმ გზებს შორისაა, რითაც შეგვიძლია წყლის დაზოგვასა და პლანეტის კეთილდღეობაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ეს აქტივობები მნიშვნელოვანია უკეთესი წარმოების, უკეთესი კვების, უკეთესი გარემოს და უკეთესი ცხოვრების მისაღწევადაც.

რუსეთი ახლა ისრაელში დაწყებული კონფლიქტით ყველაზე მეტად ხეირობს!

პატრიოტი ებრაელები თელ-ავივისკენ მიიჩქარიან!

ვითარება ახლო აღმოსავლეთში უფრო და უფრო იძაბება, რა მოხდება მას შემდეგ, რაც ღაზას სექტორს ისრაელი დაიკავებს? როგორც უკვე ცნობილია, ისრაელი სახმელეთო ოპერაციისთვის ემზადება და შესაძლოა, ეს ნებისმიერ დროს დაიწყოს. ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ოპერაციაში 360 ათასი ახალწვეული მიიღებს მონაწილეობას. ისრაელში სრული მობილიზაციაა გამოცხადებული და ხალხი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩადის.

ამის პარალელურად „ჰამასი“ იმუქრება და ამბობს, რომ ისრაელი თუკი ღაზას სექტორში შეიჭრება, ისინი ტყვეებს დახოცავენ. ისრაელი კი მანამდე არ აპირებს გაჩერებას, ვიდრე ღაზას სექტორს გოლომდე არ გაწმენდს ტერორისტებისგან.

გარდა ამისა, ჩახერგილია ღაზის სექტორიდან გასაქცევი ერთადერთი მიმართულება. თელ-ავივი აცხადებს, რომ ეგვიპტის საზღვარზე იარაღის კონტრაბანდისთვის გათხრილი გვირაბი დაბომბა, შესაბამისად, პალესტინელები ვეღარ გარბიან.

„ჰამასი“ კი არაბებს და მთელ მუსლიმანურ სამყაროს საყოველთაო მობილიზაციისკენ მოუწოდებს. ბოლო 24 საათში ისრაელმა ღაზაში 200 სამიზნე გაანადგურა. შედეგად ყოველ წუთს იზრდება მსხვერპლის რაოდენობა. პალესტინა აცხადებს, რომ 1200 ადამიანია მკვდარი, მათგან 100 ბავშვი. ისრაელის მხარეს კი, მსხვერპლის რაოდენობა უკვე ათას ხუთასს გადასცდა.

სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი** For.ge-სთან ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც „ჰამასმა“ ისრაელზე სამხედრო დივერსიული შეტევა განახორციელა, ისრაელს არ აქვს არჩევანი გარდა იმისა, რომ შეივიდეს ღაზაში და სამხედრო ოპერაცია დაიწყოს. ალადაშვილი აცხადებს, რომ ღაზის დაბომბვა სწორედ ამ სპეცოპერაციის წინა მოსამზადებელი პერიოდია, რათა სამხედროებს ტერიტორია გაუსუფთავონ.

„ის, რაც მოხდა 7 ოქტომბრის თავდასხმის შემდეგ, ისრაელს აძლევს უფლებას, მან სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს, რათა „ჰამასის“ სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურება მოხდეს. მხოლოდ ჰაერიდან, თუნდაც წერტილოვანი დარტყმები, მართვადი რაკეტების გამოყენებით შეუძლებელია. მეორი ეს ობიექტი მიწის ქვეშ, მუნკერშია განთავსებული და საჰაერო გზით მათი განადგურება არ ხდება. ისრაელის სამხედრო ოპერაცია ღაზის სექტორში გარდაუვალია.

ისრაელმა შესაძლოა ეს შეტევა უახლოეს დღეებში დაიწყოს. თუმცა ისრაელისთვის ეს იქნება ძალიან მძიმე მრძოლა. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქის მრძოლები ურთულესია და მით უმეტეს, ასეთი მჭიდრო დასახლების, სადაც მიწის ქვეშ გვირაბები არსებობს და ვინ საიდან ამოვა, უცბად, არავინ იცის. ისრაელს აქვს გამოცდილება, რომ 2008 წლის 27 დეკემბერს, ღაზის სექტორში „ჰამასის“ წინააღმდეგ სპეცოპერაცია „ჩამოსხმული ტყვია“ დაიწყო. 1900-ზე მეტი რაკეტა გაუშვეს მაშინ ღაზას სექტორიდან, ამიტომ ისრაელმა ეს ოპერაცია უკვე 3 იანვარს დაიწყო. 4 მრიგადით შეუტია, ღაზის სექტორი შუაზე გაჭრა და დიდი ბულდოზერებით იქ არსებული ინფრასტრუქტურის დაშლა დაიწყო. მაშინ გაეროს ასამბლეაში გამოიტანეს სპეციალური დადგენილება, რომ ცეცხლი სასწრაფოდ შეეწყვიტათ. ისრაელი მაშინ დათანხმდა და ეს ცეცხლი შეწყდა. თუმცა ახლა რაც მოხდა, გაერო კი არა, უცხოპლანეტელებმა რომ მოსთხოვონ, ისრაელი უკან არ დაიხევს“, – ამბობს **ალადაშვილი.**

თუკი ისრაელი ღაზას სექტორს დაიკავებს, რა მოხდება ასეთ შემთხვევაში და არსებობს თუ არა რისკი, რომ ეს ომი უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს, ალადაშვილი ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, ამის რისკები არსებობს. მისი თქმით, გამომდინარე მისი სამეზობლოს და ისტორიული მტრებისა, ისრაელისთვის მეორე და მესამე ფრონტების გახსნის საფრთხეც კი არსებობს.

„დიდი შანსია, რომ თუკი ისრაელმა ღაზას სექტორი დაიკავა და სახმელეთო ოპერაცია დაიწყო, ჩრდილოეთიდან „ჰეზბოლა“ ამოქმედდეს. „ჰეზბოლა“ კიდევ „ჰამასზე“ ბევრად ძლიერია. ასევე არსებობს საშიშროება იორდანიდანაც მოხდეს დარტყმა, სირიის საზღვარიც, რა თქმა უნდა, საფრთხის მატარებელია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სირიაში ირანის შეირაღებულმა დაჯგუფებებმა ფეხი მოიკიდეს. ეს ყველაფერი არ არის გამორიცხული, რომ ეს ისრაელ-არაბეთის ომში გადაიზარდოს. ან უფრო რთულ სიტუაციაში. ამიტომ მოვლენების განვითარების ბევრი სცენარი არსებობს, რისთვისაც თავად ისრაელიც, ფაქტია, ემზადება“, – ამბობს ალადაშვილი.

რუსეთის ინტერესი და კვალი კონფლიქტში

კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ რუსეთის ინტერესი ამ კონფლიქტში ერთმნიშვნელოვანია და თუ ვინმემ ახლა ამ საშინელებით მოიგო, ნომერ პირველი რუსეთია და შემდეგ ირანი. ზაქარეიშვილი ფიქრობს, რომ რუსეთს ახლა უნდა უკრაინის ომიდან ყურადღება გადავიდეს და ეს უკვე ისრაელზე ამ სასტიკი თავდასხმის შემდეგ მოახერხა.

„რუსეთი ახლა ისრაელში დაწყებული კონფლიქტით ყველაზე მეტად ხეირობს. კრემლისთვის ეს იქნება გარკვეული ამოსუნთქვის საშუალება. მოხდება დასავლეთის ყურადღების, ფინანსების, პოლიტიკის ახლო აღმოსავლეთზე გადატანა. განსაკუთრებით კი ამერიკის ყურადღებას მოაშორებს უკრაინას, რადგან მისთვის ახლო აღმოსავლეთი უფრო მნიშვნელოვანია. ამერიკას ახლა იარაღის და ფინანსების გადანაწილება მოუწევს. ამერიკას დიპლომატიურ ურთიერთობებში არაბულ სამყაროსთან ჩართვაც მოუწევს.

დიახ, ახლა ამერიკას უწევს მთელი ყურადღება ისრაელის კონფლიქტისკენ გადმოიტანოს. რუსეთს ეს ერთმნიშვნელოვნად აწყობს. დონეცკის მიმართულებით გუშინ უკვე მასირებული შეტევა დაიწყო. რუსეთმა დრო იხელთა და უკრაინაზე კონტრშეტევას ცდილობს. თითქმის არ ჩანს ირანის კვალი, მაგრამ არავინ დაიჯერებს ამას. ცოტა ადამიანი იყო ამ სპეცოპერაციაში ჩართული. შესაძლოა, რუსეთმა იცოდა ირანისგან და ყველა გატრუნული იყო. რაც შეეხება იარაღს, რომელიც, დიდი ალბათობით, უკრაინის ომიდან აქვს რუსეთს წამოღებული, მისი შემოწმება სერიის ნომრით შესაძლებელია. სერიოზული გამოძიების შემთხვევაში დადგინდება, როგორ მოხვდა ტერორისტების ხელში ეს იარაღი“, – ამბობს **ზაქარეიშვილი.**

მისივე თქმით, თუ ირანი ომში არ ჩაერთვება, მაშინ ამ კონფლიქტის გრძელვადიან და ფართომასშტაბიან ომში გადაყვანა ვერ მოხდება. ისრაელს ლიბანის მოგერიება არ გაუჭირდება, თუმცა ირანის ჩართვის შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი ომი გარდაუვალი იქნება.

„მოლოდინია, ასევე, ისიც, რომ დაპირისპირება სირიაშიც გადავა. იქ ირანის ძალიან სერიოზული შენაერთეგია განლაგებული. სირია საერთოდ „ბზიკების“ საშინელი ბუდეა. შესაძლოა სიტუაცია იქაც აფეთქდეს. არ მგონია ირანი აქამდე წავიდეს. ახლა მისთვის ესეც გამარჯვებაა, რადგან ებრაელების საშინელი ხოცვა მოაწყო. ირანს, წესით, ამ ვითარების გაგრძელება არ უნდა აწყობდეს. თუმცა, უკრაინა ამის გამო დასავლეთმა რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან იძულებით დასვას, მეეჭვება. დასავლეთში არის გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც ეს სურთ. ამიტომ, თუ დასავლეთიდან ამაზე გაუღერება მოხდება, ეს მთლად ისრაელის ომის გამო არ იქნება“, – ამბობს **ზაქარეიშვილი.**

ლიკა გერიკაშვილი

მითად ქცეული „მოსადისა“

„მე მჯერდება ხალხი, რომლებსაც ეზიზღებათ მკვლელობა, თუმცა, ამის მიუხედავად, შეიძლება ასწავლო მოკვლა“, – ამბობდა მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ისრაელის სადაზვერვო სამსახურის „მოსადის“ ლეგენდარულად მიჩნეული ხელმძღვანელი **ისეთ ჰარელი**.

ისტორიის კუთვნილებად იქცა „მოსადის“ მიერ განხორციელებული ერთ-ერთი პირველი უპრეცედენტო ოპერაცია, როდესაც 1960 წელს ისრაელის დაზვერვამ 20 წამში ბუენოს აირესში, გარიბალდის ქუჩაზე სპეცოპერაცია ჩაატარა და ჰოლოკოსტის არქიტექტორი **ადოლფ აიხმანი** აიყვანა, რომელიც არგენტინაში იმალებოდა და ფაშიზმის დროს 6 მილიონი ებრაელის განადგურებას კურირებდა.

ავტობუსის გაჩერებიდან სახლისკენ მიმავალ ადოლფ აიხმანს ტროტუარზე გაჩერებული და ვითომ გაფუჭებული მანქანის ირგვლივ მყოფი მამაკაცებიდან ერთ-ერთმა, ანუ „მოსადის“ აგენტმა ესპანურად მიმართა „Un momento, senor“ და დააკავა. კონსპირაციულ ბინაში გადაყვანის შემდეგ კი აიხმანისგან აღიარებითი ჩვენება მოიპოვეს. შემდეგ აიხმანი ნარკოტიკებით გააბრუეს და აეროპორტისკენ გააქანეს, საბაჟოზე კი განაცხადეს, რომ ავტოკატასტროფაში მოხვედრილი ისრაელის დიპლომატი იყო, გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებდა, ამიტომაც იყო თავიდან ფეხებამდე ბინტით შეხვეული. აიხმანის დაკავება და არგენტინიდან მისი ისრაელში გადაყვანა იყო „მოსადის“ მესიჯი, რომ ისრაელის სახელმწიფო თავისი მტრების დასჯაში მხოლოდ საკუთარი ტერიტორიით არ შემოიფარგლებოდა.

დღეს კი „მოსადმა“, არათუ უცხო ტერიტორიაზე, საკუთარი ტერიტორიის სიახლოვეს, ღაზას სექტორშიც ვერ აღმოაჩინა საეჭვო ფაქტები. ებრაელი პოლიტოლოგები პირდაპირ ადანაშაულებენ ისრაელის დაზვერვას, რომელმაც „ჰამასის“ მოულოდნელი თავდასხმა ვერ ააცილა საკუთარ მოსახლეობას და „ჰამასის“ საიერიშო მზადების რამდენიმეთვიანი ციკლი უყურადღებოდ დატოვა. სპეცსამსახურების ასეთივე ჩავარდნა ისრაელში 1973 წლის 6 ოქტომბერს იომ-ქიფურის (მიტევების და ცოდვების მონანიების დღეს) ომის დროს გამოვლინდა.

1973 წელს ისრაელის ხელისუფლებამ დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა შეტყობინებას, რომ ეგვიპტის, სირიის, იორდანიის ჯარები შეტევას გეგმავდნენ ისრაელზე, რომ მათ მიიღეს უახლესი საბჭოთა სარაკეტო კომპლექსები და დონორებისგან სისხლს აგროვებდნენ. ისრაელის მთავრობამ მაშინ ჩათვალა, რომ ეს ინფორმაცია დეზინფორმაცია იყო, თანაც, ისრაელი ფრთხილობდა, პირველს არ დაეწყო ომი და ისრაელი ავრესორად არ წარმოჩენილიყო.

დღეს რა ხდება? დაიმსხვრა თუ არა „მოსადის“ (ისრაელის საგარეო დაზვერვა) და „ამანის“ (ისრაელის სამხედრო დაზვერვა) უძლეველობის მითი „ჰამასის“ შეჯრის პარალელურად?



„ტუპოი“ ხაბეს უტოპია

რა მოხდა ლარნაკაზე?

რამდენიმე დღის წინ ლევან ხაგეიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი გოტკოველი და დავით პირკიტაძე კვიპროსში, ლარნაკაზე, დავით კეზერაშვილთან გაემგზავრნენ.

როგორც მედიით გახდა ცნობილი, კეზერაშვილი უკმაყოფილო ყოფილა „ნაცმოძრაობის“ ახლანდელი მუშაობით, საყვედურებით აუვსია სტუმრები, მაგრამ მხოლოდ საყვედურებით რომ არ შემოიფარგლებოდა შეხვედრა, ეს ნათელია.

ჩვენი წყარო გვატყობინებს, რომ შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროგლემაც დასმულა და აქ წამოწეულა გიორგი გახარიას ფაქტორი.

კეზერაშვილისა და გახარიას გარიგებების შესახებ დიდი ხანია ყველამ იცის, ეს საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. კეზერაშვილს სურს თურმე, რომ გახარიამ უშუამდგომლოს ზურაბიშვილთან, სააკაშვილის თუნდაც ერთ საქმეზე შეწყალებასთან დაკავშირებით, რადგან თუ ზურაბიშვილი სააკაშვილს ერთ საქმეზე მაინც შეიწყალებს, მიშა, დაახლოებით, ერთ წელიწადში ან წელიწადნახევარში გამოვა ციხიდან და ეს კეზერაშვილის დამსახურება იქნება, რომელიც ციხიდან დახსნის სანაცვლოდ სააკაშვილს „ნაცმოძრაობას“ მთლიანად გადმობარებას მოსთხოვს. კეზერაშვილს სურს, თურმე, საერთოდ გათავისუფლდეს სააკაშვილის გავლენებისგან, ისე, რომ მას არ ჰქონდეს სათქმელი – ჩემი შექმნილი პარტია გადმოგილოცეო. თუ ისე მოხდება და სააკაშვილს შეიწყალებს ზურაბიშვილი, სააკაშვილი კეზერაშვილს ჰპირდება, რომ ხელს არ შეუძლის და წინააღმდეგი არ იქნება კეზერაშვილ-ადეიშვილის კავშირზე, არ წავა ხაბეიშვილის წინააღმდეგ „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობაში და არ დაუჭერს მხარს ნიკანორ მელიას პარტიაში მობრუნებას.

სხვა „უტყუარი“ ინფორმაციით, სააკაშვილის ახლო მხარდამჭერებსა და გახარიას ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტები აქვთ და პოლიტიკურ გარიგებებსაც ახერხებენ. გახარიას მხრიდან საუბარია ნაცებთან ერთად რეგიონების გადანაწილებაზე საარჩევნო კვოტებით და ა.შ. როგორც ვთქვით, გახარია ურთიერთობს კეზერაშვილთანაც, რათა 2024 წელს არჩევნებში „თვალთხარიას“ დაფინანსება უზრუნველყოს.

რაც შეეხება თანდათან გააქტიურებულ ნიკანორ მელიას, მას აქვს ფარული ჩანაწერები, რომელთა ნაწილი გამუღავნდა რამდენიმე ხნის წინ, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს არ არის ყველაფერი, რაც მას გააჩნია. მის ხელთ ყოფილა ფაილები და სხვა მასალები, რომლებიც ცხადყოფენ „ნაცმოძრაობის“ აქტიური წევრების ბილწ რიტორიკას სააკაშვილის მიმართ. ერთ ჩანაწერში თურმე ისმის მერაბიშვილის ხმა, რომელიც ამბობს, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ მიშასგანო. ამოვიდა ყელში და თუ არ მოისვენებს, საერთოდ არაფერს გავაკეთებ მის გამოსაყვანად ციხიდანო, ამბობს ჩანაწერში თურმე ლევან ხაბეიშვილი.

აკი, ვერ გამოიყვანა ხაბეიშვილმა ციხიდან სააკაშვილი, როგორც იმუქრებოდა გარკვეული ხნის წინ, მაგრამ ვის ჰქონდა ამის იმედი? ეს ხომ თავიდანვე უტოპია იყო „ტუპოი“ ხაბეიშვილის მხრიდან?!

ამასობაში „მთავარი“ არხი გაიძახის, აღარ ვემხრობით „ნაცმოძრაობასო“. მერაბიშვილ-ადეიშვილის ტანდემმა, რომელიც კეზერაშვილის გარემოცვაში ყველაზე გავლენიან ძალად ითვლება თურმე, სააკაშვილი, ფაქტობრივად, ჩამოაწერინა, როგორც ტელეკომპანია „მთავარს“, ასევე ტვ „ფორმულასაც“ – როგორც ვხედავთ, აღარც ლოგოები ჩანს ტელეეკრანებზე – FREE MISHA, არც თაკო ჩარკვიანი, გუგა სანიკიძე, გიორგი ბარამიძე და სხვა მამალი ნაცები „იხრჩობენ“ თავს ოპოზიციურ ტელევიზიებში.

პოლიტიკურ თამაშში აქტიურად შემოდის ნიკა გვარამია და როგორც გვატყობინებენ, ესეც კეზერაშვილის გეგმის ნაწილია. ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ კეზერაშვილის ფრთის აქტიურობის ლის წინააღმდეგ „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობაში და არ დაუჭერს მხარს ნიკანორ მელიას პარტიაში მობრუნებას.

სხვა „უტყუარი“ ინფორმაციით, სააკაშვილის ახლო მხარდამჭერებსა და გახარიას ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტები აქვთ და პოლიტიკურ გარიგებებსაც ახერხებენ. გახარიას მხრიდან საუბარია ნაცებთან ერთად რეგიონების გადანაწილებაზე საარჩევნო კვოტებით და ა.შ. როგორც ვთქვით, გახარია ურთიერთობს კეზერაშვილთანაც, რათა 2024 წელს არჩევნებში „თვალთხარიას“ დაფინანსება უზრუნველყოს.

რაც შეეხება თანდათან გააქტიურებულ ნიკანორ მელიას, მას აქვს ფარული ჩანაწერები, რომელთა ნაწილი გამუღავნდა რამდენიმე ხნის წინ, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს არ არის ყველაფერი, რაც მას გააჩნია. მის ხელთ ყოფილა ფაილები და სხვა მასალები, რომლებიც ცხადყოფენ „ნაცმოძრაობის“ აქტიური წევრების ბილწ რიტორიკას სააკაშვილის მიმართ. ერთ ჩანაწერში თურმე ისმის მერაბიშვილის ხმა, რომელიც ამბობს, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ მიშასგანო. ამოვიდა ყელში და თუ არ მოისვენებს, საერთოდ არაფერს გავაკეთებ მის გამოსაყვანად ციხიდანო, ამბობს ჩანაწერში თურმე ლევან ხაბეიშვილი.

აკი, ვერ გამოიყვანა ხაბეიშვილმა ციხიდან სააკაშვილი, როგორც იმუქრებოდა გარკვეული ხნის წინ, მაგრამ ვის ჰქონდა ამის იმედი? ეს ხომ თავიდანვე უტოპია იყო „ტუპოი“ ხაბეიშვილის მხრიდან?!

ამასობაში „მთავარი“ არხი გაიძახის, აღარ ვემხრობით „ნაცმოძრაობასო“. მერაბიშვილ-ადეიშვილის ტანდემმა, რომელიც კეზერაშვილის გარემოცვაში ყველაზე გავლენიან ძალად ითვლება თურმე, სააკაშვილი, ფაქტობრივად, ჩამოაწერინა, როგორც ტელეკომპანია „მთავარს“, ასევე ტვ „ფორმულასაც“ – როგორც ვხედავთ, აღარც ლოგოები ჩანს ტელეეკრანებზე – FREE MISHA, არც თაკო ჩარკვიანი, გუგა სანიკიძე, გიორგი ბარამიძე და სხვა მამალი ნაცები „იხრჩობენ“ თავს ოპოზიციურ ტელევიზიებში.

პოლიტიკურ თამაშში აქტიურად შემოდის ნიკა გვარამია და როგორც გვატყობინებენ, ესეც კეზერაშვილის გეგმის ნაწილია. ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ კეზერაშვილის ფრთის აქტიურობის დრო დადგა, რაც სააკაშვილის ფაქტორის საბოლოოდ ჩაჩოჩებას გულისხმობს. როგორც გვატყობინებენ, ახლა კეზერაშვილთან შეხვედრების მთავარი მიზანია, სააკაშვილის ფაქტორის საბოლოოდ ჩახსნა და მისი მხრიდან საფრთხის თავიდან აცილება, რომ მელიას ფრთას არ დაუჭიროს სააკაშვილმა მხარი 2024-ში. ამ თემას როგორც კი დაალაგებენ, მერე დაიწყება კონკრეტულ სიებსა და ფინანსებზე საუბრებიო.

გვარამია ვახსენეთ წეღან და რატომ და როგორ მოხდა კეზერაშვილის და გვარამიას სახელის ერთად ამოტივტივება იმის მიუხედავად, რომ მათ კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ?

მას შემდეგ, რაც გვარამია ციხიდან გათავისუფლდა, როგორც ამბობენ, სააკაშვილის მიძა თემურ ალასანია გვარამიას ზარებს არც კი პასუხობს – შენ გარეთ ხარ, ჩემი დისშვილი კი თავისუფლებააღკვეთილიაო, თანაც, მე რომ თქვენს ტელევიზიას ვეხმარებოდი, რა შედეგი დადეთ, ერთი მითხარითო.

ამბობენ, რომ კეზერაშვილი ცდილობს დააკავშიროს ერთმანეთთან გახარია და გვარამია. თუ ეს მართალია, მალე ვიხილავთ გახარიას „მთავარი“ არხის ეთერში, რომელმაც ამასწინათ კიდევაც გამოაცხადა, ჩვენ არ ვართ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ტელევიზიაო. მოსალოდნელია, ასევე, გახარიას გამოჩენა „ფორმულას“ ეთერში, კვლავ კეზერაშვილის დავალებით.

მატყობინებენ, რომ თავისებურ აქტიურობას დაიწყებს ტვ „პირველიც“, რომელსაც დიდი ფინანსური კრიზისის დრო უდგას. კულუარული ინფორმაციით, ვატო წერეთელი და ინგა გრიგოლია ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატაკებიან ფინანსების გამო და ახლა ფულს ისინიც კეზერაშვილისგან ელოდებიანო.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ფაქტი კი ერთია, კეზერაშვილი ქართულ მედიასივრცეში მთავარ მედიამფლობელად ანუ მთავარ პანდორას ყუთებად ყალიბდება, ხოლო, როგორც ცნობილია, მედია, გარკვეულწილად, შიდა პოლიტიკას განსაზღვრავს.

მარიამ ვადაჭკორია

რამდენიმე დღის წინ ლევან ხაბეიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი ბოტკოველი და დავით პირკიტაძე კვიპროსში, ლარნაკაზე, დავით კეზერაშვილთან გაემგზავრნენ. შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პრობლემაც დასმულა და აქ წამოწეულა გიორგი გახარიას ფაქტორი.

კეზერაშვილს სურს, თურმე, საერთოდ გათავისუფლდეს სააკაშვილის გავლენებისგან, ისე, რომ მას არ ჰქონდეს სათქმელი – ჩემი შექმნილი პარტია გადმოგილოცეო. თუ ისე მოხდება და სააკაშვილს შეიწყალებს ზურაბიშვილი, სააკაშვილი კეზერაშვილს ჰპირდება, რომ ხელს არ შეუძლის და წინააღმდეგ „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობაში და არ დაუჭერს მხარს ნიკანორ მელიას პარტიაში მობრუნებას.

და „ამანის“ უძლეველობა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ „მოსადის“ და „ამანის“ უძლეველობა სერიოზულად დაიმსხვრა. ასე მოხდა 1973 წელსაც, განსჯის დღის, ანუ იომ ქიფურის ომის შემდეგ. მაშინაც იყო მოულოდნელობა, მაშინაც ისრაელის დაზვერვის სამსახურმა ვერაფერი გაიგო, არავინ ინფორმირებული არ იყო. იომ ქიფურის ომი დამთავრდა თუ არა, შეიქმნა კომისია, კომისიის თავმჯდომარე იყო უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ცნობილი იურისტი **გელენი**. მისმა კომისიამ დაადგინა დამნაშავეების ვინაობა, „მოსადის“ რამდენიმე მაღალჩინოსანმა თანამდებობა დაკარგა, საბოლოო ჯამში, ისრაელის პრემიერის **გოლდა მეირის** მთავრობა გადადგა.

დღესაც აუცილებლად იქნება გამოძიება, თუ რატომ არ ჰქონდათ ისრაელის დაზვერვის სამსახურებს ინფორმაცია პალესტინელთა ფარული აქტიურობის შესახებ. თუმცა, დღეს უკვე ინტრიგა ის არის, რომ ეგვიპტელები ირწმუნებიან, ისრაელი თავდასხმის შესახებ გავაფრთხილეთო. **ნეთანიაჰუ** ამას უარყოფს, მაგრამ ეგვიპტელები ამბობენ, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მოეპოვებათ.

„ებრაელებს სიმართლის გასარკვევად დღეს არ სცალიათ, ისინი ომობენ და კომისიების შექმნისა და გამოკვლევების დრო არ აქვთ. მათ უნდათ, ამ ომში საბოლოოდ გაიმარჯვონ, მაგრამ, ჩემი აზრით, ისრაელმა უკვე გაიმარჯვა, „ჰამასი“ უკვე განადგურებულია, თითო-ოროლა მოევიკია დარჩენილი, განადგურებულია ღაზაში მდებარე მათი 200-მდე შტაბ-ბინა, სადაც „ჰამასის“ წევრები ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ. ისრაელმა დაიწყო სახმელეთო ოპერაციაც, ეს ნიშნავს, რომ ჯარი უნდა შევიდეს ღაზის სექტორში. შესაძლოა, ნეთანიაჰუს მთელი ღაზის სექტორის ოკუპაცია აქვს გადაწყვეტილი, ღაზის სექტორი ისედაც საკონცენტრაციო ბანაკია, არავითარი თავისუფლება, არავითარი ადამიანის უფლებები, ებრაელები აკონტროლებდნენ ყველაფერს ღაზაში, ვინ შედიოდა, ვინ გამოდიოდა, რამდენი დოლარი შედიოდა, რამდენი გადიოდა, სურსათი ვის შეჰქონდა, დიდი ციხე იყო და დღესაც ციხეა ღაზის სექტორი“, – აცხადებს **სოსო ცინცაძე.**

პოლიტოლოგის მოსაზრებით, სანამ არ მოხდება სერიოზული ძვრები, სანამ არ მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და არ შეიქმნება პალესტინის სახელმწიფო, სულ ასეთი უბედურებები იქნება ღაზის სექტორსა და ისრაელს შორის. მსოფლიოში ორი ერია დღეს, რომელთა რაოდენობაც 15 მილიონზე მეტია, ესენი არიან ქურთები და პალესტინელები, რომელთაც სამშობლო არ აქვთ.

„მსოფლიოში დღეს, სხვადასხვა მონაცემებით, 15-დან 18 მილიონამდე პალესტინელი ცხოვრობს, განა შეიძლება, 18-მილიონიან ერს არ ჰქონდეს სამშობლო? ქურთებს სამშობლო არ აქვთ, ცხოვრობდნენ ხან სირიაში, ხან ერაყში, მაგრამ არაბები ხომ ცხოვრობდნენ პალესტინაში?! თანაც, როგორ ცხოვრობდნენ? მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის პალესტინის მცხოვრებთა მხოლოდ 7% იყო ებრაელი, მეტი არ ყოფილა. შემდეგ გამრავლდნენ, როტშილდების ფულით ებრაელებმა იყიდეს მიწები, უცებ არაბებმა მიიხედ-მოიხედეს და ნახეს, რომ საკუთარ მიწაზე უმცირესობაში აღმოჩნდნენ. როტშილდები ამ საქმეში მილიარდობით დოლარებს აძლევდნენ ებრაელებს იმ პერიოდში, როცა დოლარი დოლარობდა. საუბარია ინგლისელ, ფრანგ და ამერიკელ როტშილდებზე“, – აცხადებს პოლიტოლოგი.

მანანა ნოზაძე



„გადარევა შეიძლება, გააჩერეთ ეს ხალხი“!..

აფხაზეთი მინისტრთა საბჭოს შენობის „პრეზიდენტ ოტელად“ გადაკეთების იდეამ აღაშფოთა

„გადარევა შეიძლება“, „გააჩერეთ ეს ხალხი“, – აფხაზური საზოგადოება ასლან ბჟანიას იდეამ აღაშფოთა. დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებით, სოხუმში მინისტრთა საბჭოს შენობა შეიძლება სასტუმროდ გადაკეთდეს. აფხაზეთისთვის ეს შენობა ომში გამარჯვების სიმბოლოა.

მინისტრთა საბჭოს შენობა აფხაზეთის ომის შემდეგ დამწვარი დგას. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ მოსკოვში, აფხაზ სტუდენტებთან შეხვედრისას თქვა, რომ მის ადგილას შესაძლოა სასტუმრო „პრეზიდენტ ოტელი“ გაიხსნას.

> **„არიან ინვესტორები, რომლებიც მზად არიან ინვესტიცია ჩადონ მთავრობის სახლის რეკონსტრუქციაში. დაინიშნა ექსპერტიზა და უახლოეს დღეებში უნდა მივიღოთ პასუხი, შეიძლება თუ არა ამ შენობის აღდგენა, თუ მისი დანგრევა მოგვიწევს. მოვა ექსპერტიზის პასუხი და ამის მიხედვით განვსაზღვრავთ. ვფიქრობ, პროექტს ბოლომდე მივიყვანთ“.**

ბჟანიამ ისიც თქვა, რომ შენობის წინ მოედანზე ვლადისლავ არძინბას ძეგლი დაიდგმება.

აფხაზური საექსპერტო ფონდის „აამთას“ ხელმძღვანელი ნატალი სმირი საინფორმაციო სააგენტო „აიაშარასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ასეთი მკრეხელობა უბრალოდ წარმოუდგენელია.

> **„თავისუფლების მოედანზე, მინისტრთა საბჭოს შენობის წინ პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ძეგლი უნდა დადგან. წარმოგიდგენიათ, აფხაზი ხალხის ლიდერის მემორიალი სასტუმროს წინ?! ან აღლუმი სასტუმროს ლუქსების წინ?!“** – აღშფოთებულია სმირი.

აფხაზურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ჩვენი დედაქალაქი“ განაცხადა, რომ მიუღებელია „ომში გამარჯვების სიმბოლო“ „საინვესტიციო ობიექტად“ გადაიქცეს.

ბჟანიას ინიციატივაზე მსჯელობენ ინტერნეტშიც.

> **„ის (ასლან ბჟანია – რ.თ.) რა სასტუმროებზე გადაირია? ბარემ ქვეყანას გადავარქვათ სახელი და სასტუმრო „აფსნი“ ვუწოდოთ?“**
>
> **„შაურმით მოვაჭრეები თავისუფლების მოედანამდე მივიდნენ“.**
>
> **„საშინელებაა, მთელი აფხაზეთის გაყიდვა უნდა, სანამ ვადა ამოეწურება“.**
>
> **„აიღონ შენობა, დადგან მემორიალი და გააშენონ პარკი“.**
>
> **„გააჩერეთ ეს ხალხი“.**

> **„საპარლამენტო რესპუბლიკაა ჩვენი მომავალი. არ შეიძლება ერთ კაცს ამხელა ძალაუფლება ჰქონდეს, თან 4 წლით. ბჟანია ამის მტკიცებულებაა“.**
>
> **„და გამარჯვების დღეს სასტუმროს აივნებიდან საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი დამსვენებლები დაგვიქნევენ ხელს? გადარევა შეიძლება“.**
>
> **„ანუ აღლუმი სასტუმროს წინ ჩატარდება და სოხუმში გამგეულმა სამინისტროებმა ისევ ოფისების ქირაში უნდა იხადონ უზარმაზარი ფული“?**
>
> **„მკრეხელობაა, ენა როგორ მოუბრუნდა“...**

მინისტრთა საბჭოს თორმეტსართულიანი შენობა (აფხაზეთის ასსრ მთავრობის სასახლე) 1939 წელს არქიტექტორებმა ვლადიმირ შჩუკომ და ვლადიმირ გელფრეიხმა ააშენეს. ის სოხუმის ცენტრში მდებარეობს. ეს შენობა ერთ-ერთი გოლო იყო, რომელიც აფხაზურმა შენაერთებმა სოხუმში აიღეს 1993 წელს. შენობაში გოლო წუთამდე რჩებოდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და მისი თანმხლები პირები. 27 სექტემბერს შარტავა აქ აიყვანეს ტყვედ, მისი თანმხლები პირებიდან კი ნაწილი სწორედ მინისტრთა საბჭოს შენობის წინ დახვრიტეს.

ეს ადგილი ქართული მხარისთვის ტრაგედიასთან ასოცირდება, აფხაზური მხარისთვის კი – გამარჯვებასთან.

> **„ომს რომ ვიხსენებთ და იმ ხალხს, ვინც სიცოცხლე გაწირა, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენს, რომ სამშობლოს განმათავისუფლებლები „პრეზიდენტ ოტელისთვის“ იმრძოდნენ. ისინი შტურმზე თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეით მიდიოდნენ. სწორედ ამიტომ დაერქვა ამ მოედანს თავისუფლების მოედანი“,** – წერს აფხაზური, სახალხო ორგანიზაცია „არუაას“ ხელმძღვანელი თემურ გულია ადგილობრივ ინტერნეტგაზეთ „ნუუნაია გაზეთაში“.

შენობა 1993 წლიდან მოყოლებული, დამწვარი დგას. 2022 წელს აფხაზეთის რამდენიმე ნაგებობის, მათ შორის ამ შენობის შესასწავლად რუსეთიდან სოხუმში მკვლევრები ჩავიდნენ. მათი სამუშაოს კომენტირებისას „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა რომან დბარმა თქვა, რომ შენობის მთლიანობა დარღვეულია და მისი რამდენიმე სართულის შენარჩუნებას აზრი არა აქვს: **„ახლა ახალი მასალებია და თუ რამეს აშენებ, ნულიდან უნდა დაიწყო“,** – თქვა მან.

თეა თოფურია,
„რადიო თავისუფლება“.

შენყვიტეთ ღაზელი ხალხის კოლექტიური დასჯა!..

ისრაელის ქმედებები ღაზაში თავდაცვის ფარგლებს გასცდა, ისრაელის მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ღაზელი ხალხის კოლექტიური დასჯა, – ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვან იმ განაცხადა. ჩინეთის საგარეო უწყების ცნობით, ეს განცხადება ჩინელმა დიპლომატმა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, პრინც ფაიზალ ბინ ფარჰანთან სატელეფონო საუბრისას გააკეთა.

„ყველა მხარემ არ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც სიტუაციის ესკალაციას იწვევს, მხარეები უნდა დაუბრუნდნენ მოლაპარაკებების მაგიდას, რაც შეიძლება მალე“, – განაცხადა ვან იმ.

ომის სისასტიკე გრძელდება

პალესტინის წყლის ადმინისტრაცია იუწყება, რომ გენერატორების განადგურების გამო ღაზაში წყლის მარაგი ძალიან მცირდება. მათი ინფორმაციით, კონფლიქტის დაწყებამდე ჭაბურღილებიდან ყოველდღიურად 262 000 კუბური მეტრი წყალი ამოჰქონდათ. ახლა ეს მაჩვენებელი 14000 კუბურ მეტრს შეადგენს და მეტი წყლის მიწოდებისთვის საწვავია აუცილებელი.

წყლის ადმინისტრაციის ცნობით, დეფიციტი მთელ ღაზაშია და გადაუდებელი აუცილებლობაა დღეში 14 000 ლიტრი საწვავი, რაც აუცილებელია დაახლოებით 130 000 კუბური მეტრი წყლის ამოსატუმბად. გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა ოფისმა (OCHA) შაბათს განაცხადა, რომ ღაზაში მცხოვრებთა უმეტესობას ახლა წყალი არ აქვს.

თეთრი ფოსფორი ლიბანისა და ღაზელების წინააღმდეგ

Human Rights Watch-ის გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ღაზას სექტორსა და ლიბანში თეთრი ფოსფორი გამოიყენეს.

როგორც ანგარიშშია ნათქვამი, ისრაელის მიერ თეთრი ფოსფორის გამოყენება ღაზასა და ლიბანში სამხედრო ოპერაციებში სამოქალაქო პირებს სერიოზული და გრძელვადიანი დაზიანებების საფრთხის წინაშე აყენებს.

ისრაელის ხელისუფლებას არ გაუკეთებია კომენტარი იმის შესახებ, გამოიყენეს თუ არა თეთრი ფოსფორი მიმდინარე ბრძოლების დროს. ინფორმაციისთვის, ისრაელის შეიარაღებული ძალები ღაზას სექტორში შევიდნენ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისრაელის ჯარის ჯავშანტექნიკამ და ცოცხალმა ძალამ ანკლავის ჩრდილოეთ ნაწილი დაიკავა.

საჰაერო დარტყმა ალეპოს აეროპორტზე

სირიის ხელისუფლება აცხადებს, რომ ისრაელმა ალეპოს აეროპორტზე საჰაერო დარტყმა განახორციელა. ეს ბოლო ორი კვირის განმავლობაში ალეპოს აეროპორტზე უკვე მეორე იერიშია.

სირიის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ისრაელმა საჰაერო დარტყმა ხმელთაშუა ზღვიდან განახორციელა, რის შედეგადაც აეროპორტს მატერიალური ზიანი მიადგა და მუშაობა შეწყვიტა.

აეროპორტს ხუთშაბათს განხორციელებული დარტყმის შემდეგ მუშაობა ახალი აღდგენილი ჰქონდა. ისრაელის ხელისუფლებას სირიის მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. ხუთშაბათს სირიის მთავრობამ განაცხადა, რომ ისრაელმა დაბომბა ქვეყნის ორი მთავარი საერთაშორისო აეროპორტი დამასკოსა და ალეპოში.

აღნიშნული აეროპორტები არა მხოლოდ ემსახურებიან სამოქალაქო ავიაციას, არამედ იქ განთავსებულია სამხედრო ბაზები, რომლებიც, გავრცელებული ცნობებით, წარმოადგენენ სატრანზიტო პუნქტებს დაჯგუფება „ჰეზბოლასთვის“ ირანული იარაღის მისაწოდებლად.

აშშ ისრაელის დასახმარებლად მეორე ავიამზიდს გზავნის

ისრაელის წინააღმდეგ მტრული ქმედებების შესაკავებლად, აშშ რეგიონში მეორე ავიამზიდს გზავნის.

აშშ-ის თავდაცვის უწყების ცნობით, ავიამზიდი USS Eisenhower განთავსდება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე კვირის დასაწყისში იქ გაგზავნილი კიდევ ერთი ამერიკული ავიამზიდისა და სამხედრო ხომალდების მხარდასაჭერად.

„აშშ-ის ძალების რაოდენობის ზრდა არის სიგნალი, რომ აშშ-ის მხარდაჭერა ისრაელის უსაფრთხოებისადმი მტკიცეა და ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, შევაკავოთ ნებისმიერი სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორი, ვინც ცდილობს ამ ომის ესკალაციას“, – ნათქვამია ლოიდ ოსტინის განცხადებაში.

დიდოსტატი არსენ ფოჩხუა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა არსენ ფოჩხუას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა „დიდოსტატი არსენ ფოჩხუა“.

გამოფენასთან ერთად გაიმართა საიუბილეო წიგნ-ალბომის პრეზენტაცია. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა ლომინაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალბედაშვილი, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, არსენ ფოჩხუას ოჯახის წევრები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

გამოფენის გამართვის იდეა 2022 წელს კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის, არსენ ფოჩხუას ოჯახში სტუმრობისას გაჩნდა. არსენ ფოჩხუას ქვრივის სურვილით მინისტრი ქუთაისში ხელოვანის ოჯახს ეწვია და მისი ნამუშევრები დაათვალიერა. შეხვედრისას ქალბატონმა ლია ქურციკიძემ თავისი მეუღლის ნამუშევრების გამოფენის სურვილი გამოხატა. კულტურის მინისტრმა ქალბატონ ლიას გამოფენის მოწყობაში დახმარება აღუთქვა და აღნიშნა, რომ მხატვრის საიუბილეო წელს მოეწყობოდა ექსპოზიცია და მომზადდებოდა კატალოგი.

გამოფენისთვის ნამუშევრები თემატურად შეირჩა. საექსპოზიციოდ წარმოდგენილია გულსაკიდები, გულსაბნევები, მძივები, როგორც მამონტის ეშვზე, ისე კოლხურ ბზაზე ამოწვის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები, ქართული ორნამენტით ნაკვეთი ბროლის ლარნაკები, ლანგრები, კოლხური ბზისგან გაკეთებული ჭვირული ლარნაკები, დეკორატიული დანები. ასევე გამოიფინება გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“, ქართველი მეფეებისა და ისტორიული მოღვაწეების პორტრეტები და სხვა თემატური ნამუშევრები, საქართველოს მხარეების თემაზე შექმნილი რელიეფური კომპოზიციები, ალეგორიული და თავისუფალი თემატიკის ნამუშევრები, ქართული ორნამენტების ესკიზები, ბროლის ლანგრები და ლარნაკები, მცირე ფორმის ნიმუშები.

მხატვრის საიუბილეო ალბომში საზოგადოება გაეცნობა მხატვრის თანამედროვე დიდი მოღვაწეების შეფასებასა და ლადო გუდიაშვილის წერილს ა. ფოჩხუას შესახებ. შესავალ სტატიაში საუბარია დიდი ოსტატის შემოქმედების შესახებ. ასევე ვხვდებით ხეზე კვეთის ოსტატის სხვადასხვა დროს შექმნილ თემატურ თუ ალეგორიულ ნაწარმოებებს, გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებს და მისი უნიკალური ქართული ორნამენტის ნიმუშების ესკიზებსა და გრაფიკულ ნამუშევრებს. საგულისხმოა, რომ პროექტის ავტორებმა აუცილებლად მიიჩნიეს ა. ფოჩხუას ორნამენტებითა და სხვადასხვა ესკიზით შექმნილი გასაფერადებელი რვეულების დაბეჭდვა, რათა ხელი შეუწყონ ბავშვებისა და ახალგაზრდების მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებასა და ქართული ორნამენტის თავისებურებების შესწავლას. ბავშვებისთვის გასაფერადებელი რვეულების გამოცემა ხელს შეუწყობს მხატვრის შემოქმედების პოპულარიზაციასაც.

წიგნში მიმოხილულია არსენ ფოჩხუას შემოქმედება და მისი მნიშვნელობა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. წინასიტყვაობაში თავმოყრილია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების გამონათქვამები მისი შემოქმედების შესახებ. წინასიტყვაობის ნაწილი ეძღვნება ხელოვანის მიერ ქაშვეთის ფრესკების შექმნასა და ლადო გუდიაშვილთან ურთიერთობას, ბროლზე ქართული ორნამენტებისა და ფიგურული გამოსახულებების შექმნას. განსაკუთრებით საყურადღებოა მხატვრის მიერ შექმნილი ქართული ორნამენტები, რომლებშიც ახლებურად არის გადამუშავებული ტრადიციული ქართული ჩუქურთმა.

არსენ ფოჩხუა 1923 წელს ქუთაისში დაიბადა. 1944-49 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში, ვიოლინოს კლასში. შემდგომ პედაგოგად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფოს სიმფონიურ ორკესტრსა და I სამუსიკო სასწავლებელში. ამავე დროს, არაჩვეულებრივად ხატავდა. 1946 წლიდან გრაფიკის ხელოვნებას ეუფლებოდა ლადო გუდიაშვილის ხელმძღვანელობით. 1946-47 წლებში ლადო გუდიაშვილის მიწვევით ა. ფოჩხუა ქაშვეთის ტაძრის მოხატვაში დამხმარე მხატვრად მონაწილეობდა. დიდი მხატვრის გვერდით მუშაობა ა. ფოჩხუასთვის ერთგვარ აკადემიად იქცა. 1953 წლიდან მუშაობდა კოლხურ ბზასა და ბროლზე. ა. ფოჩხუა, როგორც გრაფიკოსი, მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენაში. 1956 წელს პირველად გამოფინა ბზისა და სადაფის ნაკეთობები. ხელოვანი წარმატებით მუშაობდა ბროლისა და ძვლის მხატვრულ დამუშავებაზე.

1977 წელს ქუთაისში არსენ ფოჩხუას ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. 1982 წელს მისი პერსონალური გამოფენა გაიმართა მოსკოვში. ექსპოზიციამ დიდი მოწონება დაიმსახურა და მას მეორე პერსონალური გამოფენა მოჰყვა, რომელიც რუსეთის ბუნების დაცვის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო. ამავე წელს ის საცხოვრებლად მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა. 1982 წელს არსენ ფოჩხუას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. ხელოვანი 2001 წლის აპრილში გარდაიცვალა.

დამთვალიერებელს ეროვნულ მუზეუმში საიუბილეო გამოფენის – „დიდოსტატი არსენ ფოჩხუა“ – ნახვა 22 დეკემბრამდე შეუძლია.



ერეკლე ბადურაშვილის ფილმის პრემიერა... სიკვდილის შემდეგ

კინორეჟისორი ერეკლე გადურაშვილი 57 წლის ასაკში ფილტვის უკმარისობით გარდაიცვალა.

ამჯერად ყურადღებას სწორედ ერეკლე გადურაშვილის ფილმი „ხიდი“ იმსახურებს, რომელშიც მთავარ როლს მისი შვილი, მომღერალი და მსახიობი ნინი გადურაშვილი ასრულებს. ფილმის პრემიერა 13 ოქტომბერს, თურქეთის ქალაქ სტამბულში შედგა.

„სამწუხაროდ, ერეკლე გადურაშვილის და ფილმის ოპერატორის – თამაზ გოგინაშვილის გარდაცვალების გამო, დაგვიანდა ფილმწარმოების დასრულება. მევრი პრობლემის მიუხედავად ფილმი მზადაა საპრემიეროდ. ფილმი ეფუძნება ნამდვილ ამბავს, რომელიც ცნობილმა ქართული წარმოშობის თურქმა ექიმმა, ისმედ დინდერ-მიქელაძემ მოუთხრო თავის დროზე ერეკლეს და შთააგონა ამმავი ფილმად ექცია. ფილმში ქართული და თურქული კინოს ვარსკვლავები და ცნობილი სახეები მონაწილეობენ: ნინი გადურაშვილი, ზურაბ ცინცქილაძე, დავით როინიშვილი, ქრისტინე იმედაძე, დავით ხახიძე, სოსო ლაღიძე, ჯანო იზორია...

თურქული მხრიდან ფილმის გმირები არიან ემრე კიზილირმარკი, ელიფ ბაისალ, ქართული წარმოშობის თურქი მიზნესმენი, მეცენატი – ისმედ აჯარი (ვაჭარაძე) და თვით იდეის ავტორი, ასევე ქართული წარმოშობის ცნობილი თურქი ექიმი, ისმედ დინდერ (მიქელაძე). ფილმი დაფინანსებულია ეროვნული კინოცენტრისა და აჭარის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ“.

ირაკლი ფარჯიანის „სახარებები“ ფრანკფურტის ფესტივალზე

ფრანკფურტის წიგნის გაზრობაზე ცნობილი ქართველი მხატვრის, ირაკლი ფარჯიანის მიერ გადაწერილი და დასურათებული, სახარებათა ფაქსიმილე გამოცემები იქნება წარმოდგენილი.

ფრანკფურტის წიგნის გაზრობაზე, რომელიც 18-დან 22 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება, აღნიშნული გამოცემის წარმდგენი შვეიცარიულ-გერმანული კომპანიაა. ფაქსიმილე გამოცემები კომპანიამ მხატვრის ოჯახის დაკვეთით შექმნა. ირაკლი ფარჯიანის სახარებები დიდ მოგზაურობას ფრანკფურტის გაზრობით დაიწყებს და საქართველოს უნიკალურ კულტურას მსოფლიოს გააცნობს.

პოეტი თურქეთში აღიარეს!

პოეტ ნანა ცინცაძის შემოქმედებას ათასობით მკითხველი და გულშემატკივარი ჰყავს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სტამბოლის ქართული ენის ცენტრმა ნანა ცინცაძე ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისთის დააჯილდოვა: ...განსაკუთრებული მადლობა საქართველოს კონსულს თურქეთში ბატონ ალექსანდრე ჯიშკარიანს. ქედს ვიხრი თითოეული თქვენგანის წინაშე და გაგიმხელთ: 8 ოქტომბრის მერე მინდა უკეთესი ვიყო, განაცხადა ნიჭიერმა ქართველმა პოეტმა, ექიმმა და აქტიურმა მოქალაქემ.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

ᲡᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, ᲐᲚᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲐᲥᲕᲘᲐ!

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲔᲑᲘᲪ ᲐᲥᲕᲡ – ᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲚᲘ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲰᲔᲑᲠᲝᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ. ᲠᲐ ᲧᲝᲤᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ?

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲘᲚᲘᲐᲣᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ, ᲗᲔᲝᲚᲝᲒ ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲡᲝᲜᲦᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ.



ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲧᲝᲤᲔᲜ!

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ: ებრაელებისა და პალესტინელების კონფლიქტი ძველი და მრავალმხრივია. რელიგიური ასპექტი აქ წამყვანი არ არის, მაგრამ მაინც, რომელი სარწმუნოებრივი საკითხებია ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი?

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲡᲝᲜᲦᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ეს კონფლიქტი არც ისეთი ძველია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. დაპირისპირება დაიწყო მე-20 საუკუნის დამდეგს, როდესაც პალესტინაში ებრაელების რაოდენობამ იმატა, ისინი იქ დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩადიოდნენ. როდესაც ოსმალეთის იმპერია დაიქცა და პალესტინა ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ გადავიდა, კონფლიქტი კიდევ უფრო გაძლიერდა. ორივე მხრიდან იყო ძალადობა. 1948 წელს ჩამოყალიბდა ისრაელის სახელმწიფო, ოღონდ ამას მშვიდობა არ მოუტანია.

თუმცა, ეს პოლიტიკური კონფლიქტია. სიონისტებს, რომლებსაც ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა სურდათ, რელიგიური მოტივი არ ჰქონიათ. ვერ ვიტყვით, რომ ეს არის რელიგიური კონფლიქტი, თუმცა, როგორც ყველა კონფლიქტს, ამასაც აქვს რელიგიური სარჩული.

– ვინ იყვნენ სიონისტები?

– მე-19 საუკუნის ინტელექტუალები, სეკულარული ებრაელები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რადგან ებრაელობა ეთნოსია, ხალხია, მათ სახელმწიფოც სჭირდებათ. მათი იდეა იყო, აღდგენილიყო ებრაელების ისტორიული სახელმწიფო, ისრაელი. მანამდე სხვა ადგილებზეც ფიქრობდნენ, სადაც შეიძლებოდა ახალი ქვეყანა დაეარსებინათ, მათ შორის განიხილებოდა ტერიტორიები აფრიკაში. მაგრამ ამ იდეას განხორციელება არ ეწერა, რადგან ებრაელებს ყოველთვის ჰქონდათ მიზიდულობა ისტორიული სამშობლოსადმი.

ირონიაა ის, რომ ებრაელები და პალესტინელები „ბიძაშვილები“ არიან. ორივენი თავიანთ წარმომავლობას უკავშირებენ აბრაამს (ისლამური ტრადიციით, მას იბრაჰიმი ეწოდება). აბრაამს ჰყავდა ორი ვაჟი: ისმაილი, რომელიც სუროგაციის მეშვეობით შეეძინა და იცხაკი (იგივე ისააკი - რ.თ.), რომელიც მეუღლემ, სარამ გაუჩინა სიბერეში.

– რომ დავაზუსტოთ, რა იგულისხმება სუროგაციაში?

– სუროგაცია იმდროინდელ აღმოსავლეთში გავრცელებული ტრადიცია იყო. თუ ქალს ბავშვი არ უჩნდებოდა (უშვილობა კი ძალიან დიდ ტრაგედიად მიიჩნეოდა), მას შეეძლო თავისი მოახლე „მიერთმია“ მეუღლისთვის და ბავშვი, რომელიც მოახლეს გაუჩნდებოდა, მის შვილად ჩაითვლებოდა. ებრაელებიც და პალესტინელებიც აღიარებენ, რომ ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები, ორივენი აბრაამის შთამომავლები არიან, პალესტინელები – ისმაილის, ებრაელები – იცხაკის.



ᲐᲚ-ᲐᲥᲡᲐᲡ ᲛᲔᲩᲔᲗᲘ

– ვინ არიან დღევანდელი პალესტინელები?

– პალესტინელები არიან არაბები, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებული ძველი ტრადიციის გამგრძელებლებად აღიქვამენ თავს. პალესტინელები თავიანთ სახელს უკავშირებენ უძველეს ტომს, ფილისტიმელებს. მათი წარმომავლობის შესახებ ძალიან ბევრი კვლევა არსებობს. თუმცა, დაზუსტებით დღემდე არავინ იცის, ვინ არიან ისინი: ფილისტიმელებისა და არაბების შერწყმის შედეგად წარმოშობილი ხალხი თუ ფილისტიმელების, არაბებისა და ებრაელების შერწყმის შედეგად შექმნილი მოსახლეობა. მაგრამ კულტურულად ისინი არაბული სამყაროს ნაწილად მიიჩნევენ თავს, მათი ენა არაბულია.

– მათი სარწმუნოება კი ისლამი.

– თავდაპირველად, პირველ ინტიფადამდე (არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიების გათავისუფლებას ან მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებას. ამჟამად, სიტყვა „ინტიფადა“ ყველაზე ხშირად გაგებულია, როგორც პალესტინელი არაბების შეიარაღებული ბრძოლა დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში ისრაელის წინააღმდეგ. პირველი ინტიფადა დაიწყო 1987 წელს და დასრულდა 1993 წელს. მეორე ინტიფადა მიმდინარეობდა 2000-2005 წლებში – რ.თ.) პალესტინელების სარწმუნოება არ იყო ერთგვაროვანი, არც დღესაა. პალესტინელების დიდი ნაწილი მუსლიმი იყო, ნაწილი კი – ქრისტიანი.

პირველი ინტიფადას შემდეგ ქრისტიანი პალესტინელები თანდათან ტოვებდნენ პალესტინას და ცოტანი დარჩნენ, მაგრამ ვინც არიან, ისინიც, განსაკუთრებით პირველ ინტიფადამდე, აქტიურად იღვწოდნენ და იღვწიან პალესტინის დამოუკიდებლობისთვის.

ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲗᲐᲜ, ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ, 2022 ᲬᲔᲚᲘ.

ისინი განაწილებულები არიან რამდენიმე მიმდინარეობად, არიან პალესტინელი მართლმადიდებლები, პალესტინელი ანგლიკანები და პალესტინელი პროტესტანტები. ნაზარეთში, ხაიფაში, ბეთლემის ნაწილში დღემდე ძალიან ბევრი პალესტინელი ქრისტიანია.

– პალესტინელებს ისრაელის ტერიტორიის მიღმა, კიდევ აქვთ სამშობლო?

– არა, ისინი საუკუნეების განმავლობაში იქ ცხოვრობდნენ. კონფლიქტის, განსაკუთრებით 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ, პალესტინელების დიდი ნაწილი ლტოლვილად იქცა. ზოგი იორდანიაში წავიდა, ზოგი – ერაყში. ისინი დღემდე თავს პალესტინელებად, ლტოლვილებად მიიჩნევენ და სამშობლოში დაბრუნებას ელიან. მათი ინტეგრაცია სხვა არაბულ სამყაროში არ მომხდარა, მიზეზი სწორედ მათივე ძლიერი პალესტინური ფესვები იყო.

– იერუსალიმი, რომელიც ორად არის გაყოფილი, პალესტინურ და ებრაულ ნაწილად... ეს ქალაქი მეტად რელიგიური მიმდინარეობისთვის არის წმინდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მას კონკრეტულად ებრაელებისთვის და პალესტინელებისთვის?

– რატომ არის იერუსალიმი მნიშვნელოვანი ებრაელებისთვის? ერთი, რომ აქ მდებარეობდა დავითისა და სოლომონის დედაქალაქი, მაშინ, როდესაც ისრაელი გაერთიანებული, დიდი სახელმწიფო იყო.

გარდა ამისა, მას გამოკვეთილად რელიგიური მნიშვნელობა აქვს. როდესაც ებრაელები ამ მიწაზე დამკვიდრდნენ, მათ ჰქონდათ მოძრავი კარავი, მოძრავი ტაძარი. სოლომონ მეფემ დღევანდელი იერუსალიმის გულში, კლდეზე, ქვის დიდი ტაძარი ააშენა. ეს ე.წ. საძირკვლის კლდეა. ებრაული მითოსის თანახმად, როდესაც ღმერთი სამყაროს ქმნიდა, მან სამყარო სწორედ ამ ქვაზე დააშენა.

ტაძარი რამდენჯერმე დაინგრა. საბოლოოდ განადგურდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, იმპერატორ ვესპასიანეს დროს, რომაელი მხედარმთავრის უშუალო ბრძანებით. მას შემდეგ ებრაელებს სალოცავი არ გააჩნდათ.

მეშვიდე საუკუნეში, ისლამის გავრცელების კვალდაკვალ, იერუსალიმი მუსლიმებმა დაიკავეს. ნატაძრალის ადგილას ხალიფა ომარმა მეჩეთი „კლდის გუმბათი“ ააშენა. ეს არის ადგილი, სადაც აბრაამს ღვთისთვის თავისი ვაჟი უნდა შეეწირა. ქრისტიანული და იუდაველი ტრადიციის მიხედვით, ეს ვაჟი იცხაკი იყო, ისლამის მიხედვით – ისმაილი. იქვე არის ალ-აქსას მეჩეთიც.

დიდი ხნის განმავლობაში ებრაელებს ამ ადგილას მისვლაც კი ეკრძალებოდათ. ექვსდღიანი ომის შემდეგ ებრაელებმა მიიღეს უფლება, ელოცათ ტაძრის გალავნის იმ კედელთან, რომელიც დღემდეა შემორჩენილი.

– იგივე გოდების კედელთან?

– მართალია, მუსლიმების ნაწილი უარყოფს, რომ ეს იერუსალიმის ტაძრის კედელია, მაგრამ არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ეს არის იმ ტაძრის ფრაგმენტი, რომელიც ჰეროდე დიდმა აღადგინა. მაგრამ იქ, სადაც უშუალოდ „კლდის გუმბათი“ და ალ-აქსას მეჩეთია, ებრაელებს ეკრძალებათ ლოცვა.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მუსლიმებისთვის ალ-კუდსი (ისინი ასე უწოდებენ იერუსალიმს, ეს სიტყვა არაბულად ნიშნავს „წმინდას“ - რ.თ.) სიწმინდით მესამე ქალაქია მექასა და მედინას შემდეგ. ერთი წლით ადრე, ვიდრე მუჰამედი იძულებული გახდებოდა მექადან გაქცეულიყო, ანუ 621 წელს, მუჰამედი სასწაულებრივად მექადან ალ-კუდსში იქნა გადმოყვანილი. ეს ორი ქალაქი დაახლოებით 800 კილომეტრით არის დაშორებული ერთმანეთისგან. ამ მოგზაურობისას მას თან ახლდა ორი მთავარანგელოზი: ჯიბრილი და მიქალი (ქრისტიანული და იუდევური ტრადიციით: გაბრიელი და მიქაელი), იმ ადგილას, სადაც ახლა „კლდის გუმბათია“, მუჰამედი ზეცად ამაღლდა და უზენაესს ესაუბრა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ღირებულია მუსლიმებისთვის.

თუმცა, ეს ადგილი იურიდიულად არც ისრაელს ეკუთვნის და არც პალესტინას. მას მართავს დამოუკიდებელი ფონდი, რომელსაც იორდანიის სამეფო აფინანსებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია იორდანიას ეკუთვნის. აი, ასეთი უცნაური გარიგებაა დადებული ამ ადგილთან დაკავშირებით.

– მუდმივად საუბრობენ იერუსალიმის ტაძრის აღდგენაზე, მაგრამ ამ ადგილას უკვე არის მუსლიმური სიწმინდე. როგორ შეიძლება ეს საკითხი გადაიჭრას?

– ფუნდამენტალური იუდაიზმის წარმომადგენლები მართალაც ფიქრობენ, რომ ტაძარი უნდა აღდგეს. ეს იქ არსებული სხვა რელიგიური სიწმინდეების დანგრევას გულისხმობს, რაც, რა თქმა უნდა, პროვოკაციულია. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს უკვე გამზადებულიც კი აქვთ ნივთები ტაძრის მოსაწყობად. როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი, ძალიან რთული სათქმელია. მართლაც უნდა აღდგეს ტაძარი თუ არა? ან თუ აღდგეს, რომელი უნდა აღდგეს, რომელიც სოლომონის დროს იყო თუ რომელიც ჰეროდე დიდის დროს იყო?

– კიდევ რა არის ისრაელში ისეთი, რაც რელიგიური დავის საგანი შეიძლება გახდეს? მე მახსენდება ბეთლემი, რომელიც ახლა პალესტინელების ხელშია.

– ბეთლემი ქრისტიანი პალესტინელების ხელშია, თუმცა იქ მუსლიმებიც ცხოვრობენ, იგივე შეიძლება ითქვას ნაზარეთზეც, სადაც ქრისტე დაიბადა და ბავშვობა გაატარა. აქაც მოსახლეობის უმეტესობა პალესტინელები არიან. მაგრამ არცერთი სხვა ადგილი და სიწმინდე ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც იერუსალიმი. კიდევ ერთი ადგილი, რომელთან დაკავშირებითაც დაძაბულობაა, არის ქალაქი ჰებრონი. ჰებრონში ძირითადად პალესტინელები სახლობენ. ქალაქის მთავარი სალოცავი ებრაულ და ისლამურ ნაწილებად არის გაყოფილი. სალოცავი მდებარეობს ებრაელი და მუსლიმი პატრიარქებისა და მატრიარქების საფლავებზე. აქ არიან დაკრძალულები აბრაამი და სარა, იცხაკი და რებეკა, ისააკი და ლეა. იაკობის ერთ-ერთი მეუღლის რახილის საფლავი კი არის ბეთლემში. ესეც საერთო მოსალოცი ადგილია. აქ სალოცავად ის ქალები მიდიან, რომლებსაც შვილები არა ჰყავთ.

ᲗᲔᲐ ᲗᲝᲤᲮᲣᲠᲘᲐ,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი

ᲰᲔᲑᲠᲝᲜᲘ, ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲖᲔ, 2010 ᲬᲔᲚᲘ.

პატივგება

სალომე ზურაბიშვილმა ნონა გაფრინდაშვილი თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა

მსოფლიოს საჭადრაკო ისტორიაში ეპოქის შემქმნელი, მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოში საქართველოს ცნობადობის ამაღლებასა და საქართველოსდმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისა და უნიკალური სპორტული მიღწევებისათვის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა.

დაჯილდოების ცერემონია ჭადრაკის სასახლეში, ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო ტურნეს **„ეთამაშე ჭადრაკის დედოფალს“** წარდგენაზე გაიმართა, სადაც სახელმწიფო ჯილდო მოჭადრაკეს პრეზიდენტმა პირადად გადასცა.

„ქალბატონო ნონა, პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ აქ მომიწვიეთ სწორედ დღეს, როცა თქვენი ახალი მსოფლიო ტურნე იწყება. ძალიან სასიხარულოა, რომ სულ სიახლეებში ხართ და ეს ალბათ თქვენი ერთ-ერთი მუდმივი ნიშანია, რომ სულ რაღაც ახლის დაწყება გიწევთ და ამისათვის ყოველთვის გქონდათ და დღესაც გაქვთ ენერგია, მზაობა. მინდა, მოგილოცოთ ეს დღე. უკვე დიდი ხანია, ვეძებდით მომენტს, როცა საშუალება მოგვეცემოდა, თქვენთვის ეს ორდენი გადმოგვეცა. მინდა, ვისარგებლო ამ შემთხვევით. მეც ვღელავ, რადგან თითქმის ყველა ორდენი გაქვთ მიღებული, ამიტომ ძალიან ძნელია ახლის მოფიქრება, მაგრამ ერთი ორდენი არ გქონდათ და მგონი, ძალიან სწორი არჩევანი გაკეთდა, რომ დღეს დამეჯილდოებინეთ იმ დედოფლის ორდენით, რომელიც მეფეებზე მაგარი იყო – ანუ, თამარ მეფის ორდენით. ეს ორდენი არ არის თქვენი სპორტული გამარჯვების აღმნიშვნელი ჯილდო, ეს უფრო იმას აღნიშნავს, თუ რას წარმოადგენთ თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის.

ქალბატონო ნონა, თქვენ ყველა ასაკისთვის და მით უფრო ახალგაზრდებისთვის უდიდეს მაგალითს წარმოადგენთ. მაგალითს იმისას, რომ ცხოვრებაში სულ მუდამ უნდა ეძებდე უფრო და უფრო დიდ წარმატებას. მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა წარმოადგინო შენი ქვეყანა გარეთ და ქვეყნის შიგნით, მე ვიტყოდი, თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, რომელზეც ყველა თანხმდება. ანუ თუ ჩვენში კიდევ არსებობს ეროვნული თანხმობის რაღაც ნიშნები, რაზეც ჩვენ შეიძლება, მომავლისათვის იმედი დავამყაროთ, ეს თქვენ ხართ.

მგონი, თქვენ ირგვლივ ვერ იქნება ვერანაირი პოლარიზაცია. თქვენში ჩვენ, ყველა, ჩვენს თავს ვხედავთ, ვხედავთ იმ წარმატებულ და ძლიერ საქართველოს, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ გარეთ და შიგნით. დარწმუნებული ვარ, ის ტური, რომელიც ახლა იწყება, სწორედ ამ ნიშნითაცაა გამორჩეული, რომ თქვენ გარეთ გაიტანოთ არა თქვენი თავი (ვიცი, რომ თქვენი თავმდაბლობა ამას ვერ აიტანდა), არამედ საქართველოს ის სახე, რომელსაც ჩვენ, ყველა პატივს ვცემთ და რომელსაც ქვეყნის გარედანაც პატივი უნდა სცენ. ძალიან დიდი მადლობა თქვენი ღვაწლისთვის და მიიღეთ ჩემი პატივისცემა“...

ელიტრაუნდი

ვიდრე ბურუსი გაიფანტება

უკვე გაუწყეთ, რომ ფუტსალში მსოფლიოს ჩემპიონატის ელიტრაუნდის მორიგი შეხვედრის წინ ფინელებმა უეფაში გვიჩივლეს ბრაზილიელ ლეგიონერთა სიმრავლის გამო.

მართალია, ის მატჩი სუომის შინ 5:2 მოვუგეთ, მაგრამ ქალაქ ტურკუში გასამართავი საპასუხო ბრძოლის წინ მოსალოდნელი სანქციების ფაქტორი მაინც გვიტოვებდა საფიქრალს – ხომ იცით, გაურკვევლობა არასდროსაა საიმედო მეკავშირე.

საგედნიეროდ, ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილმა გუნდმა წარმატებით დაძლია ფსიქოლოგიური წნეხი და ჩრდილოეთიდან ძვირფასი ქულით დაბრუნდა სამშობლოში 3:3. მეტიც – მას შემდეგ, რაც ორჯერ ვიყავით მდევრის როლში, შესვენების შემდეგ პირველად დავწინაურდით – 3:2 და მასპინძლებმა მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე გაათანაბრეს ანგარიში.

პორტუგალია – სომხეთი 7:1

სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: პორტუგალია – 12, საქართველო – 7, ფინეთი – 4, სომხეთი – 0 ქულა. როგორც მოგეხსენებათ, ფინალური ტურნირის საგზურს ავტომატურად მოიპოვებენ ჯგუფების გამარჯვებულნი, ხოლო 4 საუკეთესო მეორეადგილოსანს პლეი-ოფში ნოემბერში დანიშნული წილისყრა დაწყვილებს, თვით მატჩები კი გაისად აპრილში მოეწყობა. სადღეისოდ თავიანთ კვარტეტებში საუკვარ მეორე გამსვლელ პოზიციას 7-7 ქულით უკრაინა, საქართველო, იტალია და ხორვატეთი იკავებენ, ჯვაროსნებს კი პორტუგალიასთან საშინაო და სომხეთთან გასვლითი გამოცდები დარჩათ ჩასაბარებელი.

ევროლიგა

შენგელიას ფაქტორი

ყველაზე პრესტიჟული საკალათბურთო საკლუბო ევროტურნირის მეორე ტურში მონტე კარლოში ქართული დერბი შედგა, რომელშიც თორნიკე შენგელიას ვირტუსმა პირველი გამარჯვება მანუჩარ მარკოიშვილის ასისტენტობით გაწვრთნილ გასული სეზონის ნახევარფინალისტთან მონაკოსთან მოიპოვა – 83:59.

შეგახსენებთ, რომ ორივე გუნდმა გათამაშება წაგებით დაიწყო, ამიტომ აღნიშნული შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული პერსპექტივის თვალსაზრისით. ასე რომ, იტალიურმა კლუბმა ყველას დაუმტკიცა წლევანდელი საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა.

სტუმართა ლიდერმა მატჩი 25 წუთში მოგრაგნილი 12 ქულით, 5 მოხსნითა და 4 პასით დაასრულა და შედეგიანობით პარტნიორთაგან მხოლოდ უბერებელ ვეტერანს ბელინელის ჩამორჩა – 13 ქულა.

რაც შეეხება სატურნირო ცხრილის სათავეს, თვალსაჩინოა ესპანელთა უპირატესობა, რადგან სასტარტო თამაშების შემდეგ ქულათა მაქსიმუმი გარსელონამ, რეალმა და ვალენსიამ მოაგროვეს ისევე, როგორც კაუნასის ჟალგირისმა.

მსოფლიო თასი

ევროპის დაცემა

ტყუილად როდია ნათქვამი – ნაღდი მუნდიალი პლეი-ოფებიდან იწყებაო. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საფრანგეთში მიმდინარე სარაგბო მსოფლიო თასის მეოთხედფინალმა ახალი ზელანდია – ირლანდია, რომელიც სამართლიანად მოინათლა ნაადრევ ფინალად და ოლ ბლექსის მძიმე გამარჯვებით დასრულდა – 28:24.

შეგახსენებთ, რომ სამგზის გვირგვინოსნებმა ფორუმი მასპინძლებთან წაგებით გახსნეს, მაგრამ შემდეგ მეტოქეთაგან ქვას ქვაზე აღარ ტოვებენ და უკვე ზედიზედ მეორედ თიშავენ ტურნირიდან რეიტინგის ლიდერს, რომელიც მინიმუმ ოთხი წლის განმავლობაში უტიტულოდ დარჩა.

იგივე შეიძლება ითქვას ევროპელთა კაპიტან ჯონათან სექსტონზე, რომელმაც ლეგენდარული სანაკრებო კარიერა ასევე წოდების გარეშე დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ოკეანეთის წარმომადგენლებმა მიზანს საკვანძო ფიგურის – ტელეას გარეშე მიაღწიეს, რომელიც სამწვრთნელო შტაბმა რეჟიმის დარღვევის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

სავარაუდოდ, იგი პარტნიორებს არგენტინასთან გრძელაში დაუბრუნდება, რომელმაც ნახევარფინალში უელსთან სენსაციური წარმატებით გააღწია 29:17 (პირველი ტაიმი – 6:10).

რეკორდი ვაკეში

ესპანური შოკის შემდეგ

45 მოგება, 24 ფრე და 50 წაგება – ასეთი გახლდათ დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების საერთაშორისო შეხვედრათა 35-წლიანი ბალანსი, რეკორდად კი მეზობელ სომხეთთან თბილისში მოგებული 7:0 ითვლებოდა.

როგორც მოგეხსენებათ, ადრე თუ გვიან ყველა მიღწევა დასამხობადაა განწირული და ასე მოხდა ამჯერადაც – ვილი სანიოლის გაწვრთნილმა გუნდმა გადახალისებული შემადგენლობით ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული 120-ე ამხანაგური მატჩი ტაილანდელ სტუმრებს 8:0(!) მოუგო (პირველი ტაიმი 6:0).

უთანასწორო ბრძოლა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტით აღინიშნა: ჯვაროსანმა გიორგი მიქაუტაძემ თანამემამულეთაგან პირველმა შეასრულა პოკერი (4 გოლი); საქართველოს ნაკრებმა ისტორიაში პირველად მოახერხა შესვენებამდე მეტოქის კარში ერთბაშად 6(!) ბურთის გატანა; დაბოლოს – გუნდის კაპიტანი გურამ კაშია მეორე ტაიმში კარიერაში 107-ედ იცავდა ნაკრების სპორტულ ღირსებას. დავძენთ, რომ დანარჩენი ზუსტი დარტყმები ზურაბ დავითაშვილმა (2), ლუკა ლოჩოშვილმა და ხვიჩა კვარაცხელიამ შეასრულეს, რომელმაც ამჯერად ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში ითამაშა, ხოლო გიორგი ჩაკვეტაძემ ორი შედეგიანი გადაცემით მოამარაგა პარტნიორები.

რაც შეეხება სტუმრებს, მათ უკვე მეათე(!) გერმანელი თავკაცი ჰყავთ ალექსანდრ პოკლინგის სახით, ერთხანს კი სახელოვანი ინგლისელი ოსტატი ბრაიან რობსონი ავარჯიშებდათ, მაგრამ ჯერჯერობით საამაყო აზიაშიც კი ბევრი არაფერი აქვთ. აქამდე ტაილანდელები ორჯერ მონაწილეობდნენ უკვე შორეული ოლიმპიადების საფეხბურთო ტურნირებში, სადაც მწარე მარცხი იგემეს ბრიტანელთაგან, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ურუგვაისთან მხოლოდ 0:4 დამარცხდნენ.

თვით ცალკარაზე კი რა შეიძლება ითქვას? თავადაც ხვდებით, რომ ბევრი არაფერი, თუმცა მიუხედავად შთამბეჭდავი შედეგისა, რამდენიმე ეპიზოდში თვალნათლივ გამოჩნდა დაცვაში არსებული ნაპრალები. ამავე დროს დადებითად შეიძლება შეფასდეს რამდენიმე ახალწვეულის, განსაკუთრებით – ალთუნაშვილის აქტიურობით გამორჩეული დებიუტი. იმავე დღეს ევრო – 2024-ის ჩვენს შესარჩევ ჯგუფში ესპანეთმა სევილიაში ყოფნა-არყოფნის ტოლფასი ბრძოლა მოუგო აქამდე უდანაკარგოდ მოთამაშე შოტლანდიას – 2:0, ხოლო თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი კვიპროსი ლარნაკაში ნორვეგიასთან შერცხვა – 0:4 და კვლავაც უქულოდაა. დუბლი ჰალანდმა შეასრულა.

სატურნირო მდგომარეობა: შოტლანდია – 15, ესპანეთი – 12 (პირნეველებს 1 თამაშით ნაკლები აქვთ გამართული), ნორვეგია – 10, საქართველო – 4, კვიპროსი – 0 ქულა. ნოემბერში ესპანეთს ვეწვევით და შოტლანდიას ვუმასპინძლებთ.

სამხრეთ ამერიკა: არგენტინა – პარაგვაი 1:0, ბრაზილია – ვენესუელა 1:1.

თაობა

საჭიროა დრო!

ზაფხულში საკუთარ სტადიონებზე ღირსეულად გადატანილი 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის უმნიშვნელოვანესი ბრძოლების შემდეგ რამაზ სვანიძის გაწვრთნილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თითქმის მთლიანად ახალი გუნდით ჩაება მორიგი კონტინენტური ფორუმის შესარჩევ ციკლში, რადგან ეს ძირითადი მირთვის ასაკითაა გამოწვეული.

ბუნებრივია, ეს მარტო ჩვენ არ გვეხება, მაგრამ თუ გიბრალტართან (2:0) და მოლდოვასთან (1:0) სტარტზე მოგებულ მატჩებში ახალი სისხლის გამოუცდელობა არ იგრძნობოდა, ტალანტთა ბეღელთან ნიდერლანდებთან გათუმის აჭარაბეთ არენაზე გამართულმა მესამე ტურის ცენტრალურმა შეხვედრამ თვალები აგვიხილა – ახალი ანსამბლის შეკვრა და შეთამაშება დროს მოითხოვს!

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მრისხანე მეტოქესთან უშანსოდ ვიყავით. პირიქით – სულ მცირე სამჯერ მაინც შეგვეძლო სტუმართა მეკარის დამწუხრება, რომელსაც ერთხელ ძელიც შეეშველა, მაგრამ აქ საერთო სურათზეა საუბარი.

დაბოლოს: კიდევ ერთხელ უნდა ვიკითხოთ: ხომ არ აჯობებდა ტაილანდთან გასეირნების ნაცვლად თანატოლებს ლიდერები – მამარდაშვილი, კვარაცხელია, მიქაუტაძე და დავითაშვილი დახმარებოდნენ? ან იქნება ხვალ შვედებთან პრინციპულ დუელში შევაშველოთ უმცროს ჯვაროსნებს? მათმა არყოფნამ ხომ ზაფხულში საბედისწეროდ დაგვაღალატა?

ხსოვნა და უკვდავება

ვენედი ბენიძე

ძალიან ძნელია სიტყვების მოძებნა იმ მწუხარების გადმოსაცემად, რომელიც ესება ცხოვრებიდან უდროოდ წასულ მეგობარს, დიდებულ პროფესიონალსა და შესანიშნავ პიროვნებას. 40 დღე შესრულდა იმ დღიდან, როდესაც ვენედი ბენიძის ნათელი სული, ხორციელად ყოველი მოკვდავისთვის საბოლოო და სამარადჟამო ნავსაყუდელის — ღვთის სასუფევლის გზას შეუდგა.

მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა სამართლისა და სამართლიანობისთვის სამსახურს. თუმცა სინამდვილეში, მისი მოღვაწეობა იყო არა უბრალოდ სამსახური, არამედ ყოველდღიური დაუღალავი შრომა და უკომპრომისო ბრძოლა მის მიერ დასახული იდეალის ხორცშესხმისათვის. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ ვენედი ბენიძემ თავისი მჯაფიო და განუმეორებელი კვალი დატოვა ყველა იმ ასპარეზზე, სადაც კი მას ყოფნა მოუხდა თავისი არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. იგი თავისი პროფესიული საქმიანობის ადრეული პერიოდიდანვე ყალიბდება სამართლებრივი სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — სისხლის სამართლისა და პროცესის მაღალი დონის სპეციალისტად.

აღნიშნულზე მეტყველებს ვენედი ბენიძის სწრაფი პროფესიული აღმასვლა, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებიდან ოთხიოდე წლის შემდეგ, ჯერ კიდევ 25 წლის ასაკში, საქართველოს პროკურატურის ცენტრალურ აპარატში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანამდებობაზე ინიშნება. ამ პირველ კარიერულ წარმატებას მოსდევს ახალახალი პასუხსაგები თანამდებობები საქართველოს პროკურატურის სისტემაში, როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის პროკურატურაში, სადაც იგი გვევლინება ამ რაიონებისა და ქალაქების პროკურორების რანგში. ეს იყო ხანგრძლივი, ამასთანავე ფრიად ნაყოფიერი საქმიანობის პერიოდი მისი ცხოვრებისა, რომელიც მოიცავს 1976-1999 წლებს.

უთუოდ უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ ასპარეზზე მოღვაწეობისას, მას ძალიან ხშირად უწევდა პრაქტიკის მიერ მის წინაშე წამოჭრილი ძალიან რთული სამართლებრივი საკითხისა თუ პრობლემის გადაწყვეტა, რასაც ის ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს თავისი მაღალი პროფესიონალიზმისა და მრავალწლიანი გამოცდილების წყალობით. ამიტომ იყო, რომ იგი ყველგან, მის გარემომცველ პროფესიულ წრეში, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, ხოლო მისი რჩევები და დასკვნები ახალბედა, თუ უკვე საკმაო სტაჟის მქონე კოლეგებში დიდად ფასობდა.

1999 წლის 17 მაისიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა, რეფორმირებულმა სასამართლო სისტემამ, რომლის სტრუქტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა თბილისის საოლქო სასამართლო. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენამ ვენედი ბენიძეს წინ გადაუშალა ახალი სამოღვაწეო ასპარეზი, სადაც ის გახდა განახლებული ქართული მართლმსაჯულების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, კერძოდ, იგი დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, იმავდროულად იყო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე. აქ მან გამოავლინა არა მარტო მაღალი სამოსამართლო თვისებები, არამედ დიდი ორგანიზატორული უნარიც, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სრულიად ახალი ტიპის სასამართლოს ჩამოყალიბებაში.

ახალ სასამართლო სისტემაში ვენედი ბენიძემ თავი გამოიჩინა როგორც ღირსეულმა და სამართლიანმა მართლმსაჯულმა, ამ მხრივ ის სამაგალითო იყო კოლეგა მოსამართლეებს შორის, მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რომელთაც ფართო რეზონანსი ჰქონდათ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი სამოსამართლო და ორგანიზატორული საქმიანობა თბილისის საოლქო სასამართლოში ხანგრძლივი არ ყოფილა, მან წარუშლელი კვალი დატოვა ამ სასამართლოს ისტორიაში.

სისხლის სამართლის სფეროში სწორი და ეფექტური სამართლწარმოების დამკვიდრების ინტერესებმა მოითხოვა ვენედი ბენიძის დაბრუნება საქართველოს პროკურატურის სისტემაში, სადაც მისი საქმიანობა არსებით მნიშვნელობას იძენდა მისი ხანგრძლივი საპროკურორო გამოცდილებიდან გამომდინარე, რასაც ემატებოდა მართლმსაჯულების სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობით შეძენილი გამოცდილება. 2001 წლის თებერვლიდან იგი საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა, სადაც მან კვლავინდებურად გამოავლინა მაღალი პროფესიული თვისებები და ორგანიზატორული საქმიანობის შესანიშნავი უნარ–ჩვევები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთლიანად პროკურატურის სისტემის წარმატებით ფუნქციონირებას.

ვენედი ბენიძის მოღვაწეობა აღნიშნულ თანამდებობაზე 2004 წლის დამდეგამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც მან დატოვა პროკურატურის ორგანოები, რაც შედეგი იყო ქვეყანაში განვითარებული რთული პოლიტიკური პროცესებისა. მაგრამ, სამწუხარო ის იყო, რომ საქართველოს პროკურატურის იმჟამინდელი მესვეურების მხრიდან ადგილი ჰქონდა, რბილად რომ ითქვას, ყოვლად გაუმართლებელ უმადურობას, გაუგებარ უსამართლობასა და უღირს დამოკიდებულებას მისი პიროვნების მიმართ, რომელთაც არაფრად მიაჩნდათ დამსახურებული ადამიანის მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლი. თუმცა ამ მხრივ ვენედი ბენიძე არ ყოფილა გამონაკლისი, რამეთუ ამგვარი უდიერი დამოკიდებულება ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი იმ ავბედითი დროის შემოქმედთა კარგად ცნობილ ხელწერას წარმოადგენდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ვენედი ბენიძე, ინარჩუნებს რა მაღალ პროფესიულ და ადამიანურ ღირსებას, მალე პოულობს თავის ახალ მოწოდებას — სისხლის სამართლისა და პროცესის თეორიული საფუძვლების ფართო ცოდნითა და უმდიდრესი პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი, ის იწყებს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, თავდაპირველად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლექტორად, შემდგომში თავის საქმიანობას აგრძელებს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო სამართლის კათედრის გამგის აკადემიურ თანამდებობაზე, პროფესორის რანგში. მოკლე ხანში ის ხდება იმავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 2011 წლის მარტიდან გარდაცვალებამდე იყო გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. აღნიშნულ უნივერსიტეტებში ვენედი ბენიძე, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, დიდი რუდუნებით, ერთგულებითა და თავდადებით ემსახურებოდა ახალი თაობის იურისტების აღზრდის საქმეს, უშურველად გადასცემდა თავის საყვარელ სტუდენტებს უმდიდრეს ცოდნასა და გამოცდილებას, რის გამოც კანონზომიერად სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. მან თავისი ძალისხმევა გასწია იურიდიული მეცნიერების სფეროშიც — იყო ორი მონოგრაფიისა და 15 სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ვენედი ბენიძე იყო შესანიშნავი, ქართული ტრადიციული ოჯახის ბურჯი და მეთაური, შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები გაუზარდა იმ ქვეყანას, რომლის ულევი სიყვარული თან გაჰყვა მას ამ წუთისოფლიდან. ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა განსახორციელებლად, მაგრამ ვერაგმა, უკურნებელმა სენმა ძალზე ნაადრევად — 73 წლის ასაკში შეწყვიტა მისი გულისძგერა. ჩვენგან წავიდა არა მარტო დიდი პროფესიონალი, არამედ ასევე უმშვენიერესი პიროვნება, გამორჩეული მრავალი ღირსებითა და ადამიანებისადმი გულისხმიერებით. ამიტომაც ჰყავდა მას მრავალი მეგობარი არა მხოლოდ იურისტთა შორის, არამედ სხვა სფეროებში მოღვაწეთა შორისაც — ხელოვანები, მეცნიერები, ჟურნალისტები თუ სხვა, რომელთა მეხსიერებაში უკვდავი იქნება მისი ხსოვნა.

უმძიმესი და გაუსაძლისია მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ყველა იმ ადამიანისათვის ვინც კი ახლოს იცნობდა მას. ნუგეშად ის გვრჩება, რომ ვენედი ბენიძე იყო ნათელი სულის ადამიანი და წმინდა განგება მის სულს უეჭველად მიუჩენს ღირსეულ ადგილს ციურ სასუფეველში.

მეგობრები და კოლეგები:

შოთა ასათიანი, ბადრი ბიწაძე, გურამ გიოშვილი, ტატო ლასხიშვილი, გია მეფარიშვილი, თემურ მონიავა, ნელი ნადირაშვილი, დავით სულაქველიძე, თემურ ღოღობერიძე, რომან შენგელია.



ღვაწლმოსილი მეცნიერი –

ოთარ ლიპარტელიანი

გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი ოთარ ლიპარტელიანი.

დაიბადა 1932 წლის 5 დეკემბერს ლენტეხის რაიონის სოფელ კახურაში. ლენტეხის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და მისი დამთავრების შემდეგ, მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წელს საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1961 წლიდან 2006 წლამდე მან გაიარა დიდი და ნაყოფიერი გზა მცხეთის სასელექციო სადგურში უფროს მეცნიერ-თანამშრომლობით დაწყებული დირექტორობით დამთავრებული. 2006 წელს იგი აირჩიეს ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. 2014 წლიდან ბატონი ოთარ ლიპარტელიანი დაინიშნა და მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ერთწლოვანი კულტურების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად.

მან პირველმა დაიწყო მცენარეთა კერძო გენეტიკის კურსის კითხვა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრაზე (1976–1979 წ. წ.) და შემდეგ კითხულობდა სელექცია-გენეტიკის კურსს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკა-სელექციისა და მეთესლეობის კათედრაზე.

ბატონი ოთარი ითვლება საქართველოში სიმინდის სელექციაში პირველ ხაზთაშორისი ჰიბრიდების ავტორად. მან პირველმა შეაგროვა სიმინდის ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი (244 ნიმუში), შეისწავლა ისინი ბოტანიკურად, გენეტიკურად და დასახა მათი სელექციური გამოყენების სწორი გზები. მან პირველმა შეისწავლა ისინი კომბინაციური უნარიანობის მიხედვით, სტერილურობის მიმართ რეაქციის თვალსაზრისით და ამ მხრივ პირველმა მოგვცა მათი ბოტანიკური და გენეტიკური კლასიფიკაცია. ბატონი ოთარ ლიპარტელიანი არის 200-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოურ გამოცემებში, მათ შორის 7 მონოგრაფიის, ერთი სახელმძღვანელოს, 13 რეკომენდაციის. მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოყვანილი და წარმოებაში დანერგილია 25 ჯიში, მათ შორის ხორბლის 2 ჯიში, სიმინდის 15 ჰიბრიდი და 1 ჯიში, ქერის 4 ჯიში, ლობიოს მუხუდოს და ოსპის თითო ჯიში. აქედან სიმინდის 1 ჯიში და 2 ჰიბრიდი დარაიონებულია უცხოეთშიც.

ბატონი ოთარის სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. იგი დაჯილდოვებულია საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით (1983 წ.); საქართველოს სახელმწიფო პრემიით მეცნიერებაში (1986 წ.); ღირსების ორდენით (1999 წ); საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით (2002, 2016 წ. წ.) და მინიჭებული აქვს საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრონომიულ დარგში (2013 წ.)

წავიდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ადამიანი ჩვენი რიგებიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მეცნიერის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ჩვენი სევდიანი დაიკო მზია გელენავა

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 67 წლისა, თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში აღესრულა აფხაზეთიდან დევნილი, ჩინებული ჟურნალისტი და მწერალი, უკეთილშობილესი და უპატიოსნესი ქალბატონი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის აღზრდილი, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ წამყვანი ჟურნალისტი, დევნილობის შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კულტურისა და ხელოვნების განყოფილების ერთ-ერთი გამორჩეული კორესპონდენტი, უზადო ქართულით შექმნილი პუბლიცისტური წერილების, ჩანახატების, რეპორტაჟების, მოთხრობების (ორი წიგნის) ავტორი, გასაგები მიზეზების გამო ზედმეტად სევდიანი, გულჩათხრობილი, მუდამ მშობლიურ აფხაზეთზე მოფიქრალი, უშვილძირო, მარტოსული სიტყვის მსახური

მზია გელენავა

ნათელი და სანთელი შენს ტანჯულ სულს! ნახვამდის, ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო!

„სრ“-ის რედაქცია

ნანა ჭორდანია

ზეციური საქართველოს სულთა საუფლოს შეუერთდა შესანიშნავი ქალბატონის, ოთხი შვილის მზრუნველი დედის, შვიდი შვილიშვილის ბებიისა და უსაყვარლესი მეუღლის

ნანა ჭორდანიას

სპეტაკი სული, გვინდა ვირწმუნოთ, რომ იგი სიყვარულითა და პირნათლად მიეახლება ნაადრევად წასულ უსაყვარლეს ქალიშვილს, თამუნას. ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა. ჩვენ, უახლოესი ადამიანები, ოჯახის წევრები და ყველა, ვინც კი იცნობდა ამ ულამაზეს ადამიანს, ქრისტიანული სიყვარულით მოვეფერებით... გამხნევებას ვუსურვებთ მეუღლეს, ბატონ ომარ კაჭარავას, მათ სამ ვაჟიშვილს ოჯახებით, ამ დიდი დანაკლისის გამო.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ კოლეგას, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ნანა ლომაიას მამის

ჟორა ლომაიას

გარდაცვალების გამო.

მეუღლისა და ქალიშვილის ნაადრევად დაღუპვით გამოწვეული უდიდესი ტკივილით წავიდა ამ ქვეყნიდან ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი, კოლხური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, დიდი ოჯახის მამა და ბაბუა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია იწყება



16 ოქტომბრიდან ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია იწყება. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ ოთხკომპონენტიანი ვაქცინა უკვე შეიძინა.

„ქვეყანაში უკვე შემოტანილია 200 000 დოზა ვაქცინა. რეკომენდებულია მაღალი რისკის ჯგუფებისთვის, 60 წლის ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებები აქვს. ასევე რისკის შემცველი პროფესიის წარმომადგენლებისთვის. ვფიქრობთ, რომ წელსაც აქტიური იქნება ვაქცინაციის კამპანია. ეს დოზები ყველა იმ პირისთვის, ვინც ბრძანებით არის განსაზღვრული, არის უფასო“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ.

2023-2024 წლების გრიპის სეზონისათვის ქვეყანაში გრიპის ვაქცინაციის მიზნით მაღალი რისკის ჯგუფებად განისაზღვრა: დიაბეტის მქონე პირები; დიალიზზე მყოფი პირები; C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი); აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები; ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები; აგრეთვე, 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები; ორსულები; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები; ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების მენეჯერები და მათი მომვლელი პერსონალი; სავალდებულო ვაქცინაციას დაქვემდებარებული მედპერსონალი და სხვ.

ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ვაქცინა ხელმისაწვდომი იქნება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, რომელთა სია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

ომი ტურიზმის პირველი მტერია!

ახალი ომი ეკონომიკას დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს - რას დაკარგავს საქართველო?

(ჟორჟ გვერდწითელი) **„ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესს აჭიანურებს - ზრდის რისკებს, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში... არსებობს სერიოზული შიში, თუ სად იქნება უახლოეს მომავალში ნავთობის ფასი“**, – განაცხადა „ნორთერნ ტრასტის“ მთავარმა ეკონომისტმა **პარლ ჭანენგაუმმა**.

ორგანიზაცია „ჰამასის“ მოულოდნელმა შეჭრამ ისრაელის ტერიტორიაზე, ახლო აღმოსავლეთში ახალი ხანგრძლივი კონფლიქტის შესაძლებლობამ, დამატებითი უარყოფითი გავლენა იქონია ისედაც არასტაბილურ მსოფლიო ეკონომიკაზე, რომელიც რუსულ-უკრაინულმა ომმა გამოიწვია.

მიმდინარე დაძაბულობის ეკონომიკური ეფექტების სიმწვავე დამოკიდებულია კონფლიქტის ხანგრძლივობასა და მისი გავრცელების არეალის მოცულობაზე.

„ნაადრევია იმის თქმა, თუ რა მასშტაბური ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტს, თუმცა სავარაუდოა, რომ მას მყისიერი ეფექტი ექნება ნავთობის ფასსა და ბირჟებზე“, – განაცხადა **ავგუსტინ პარსტენსმა**, „ბანკ ოფ სეტლემენტსის“ გენერალურმა მენეჯერმა.

უცხოელ ანალიტიკოსებს ეთანხმებიან ქართველი შემფასებლებიც. „თიბისი კაპიტალის“ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ისრაელში განვითარებული მოვლენები ნავთობის ფასების ზრდის ფაქტორია.

„სექტემბრის ინფლაციის მაჩვენებლები ჩვენს მოლოდინთან დიდწილად შესაბამისი იყო. პროგნოზის კუთხით, საყურადღებოა მოლო პერიოდში ნავთობის ფასების უკვე დაღმავალი ტენდენცია, თუმცა ისრაელში განვითარებული მოვლენები ნავთობის ფასების ზრდის ფაქტორია“, – აცხადებენ **„თიბისი კაპიტალში“**.

„ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ ხელმძღვანელი **რამაზ გერლიანიც** ადასტურებს, რომ ახლა ძალიან რთული ვითარებაა, რისგანაც სარგებელი ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი.

„არა მარტო საქართველოზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ექნება გავლენა ისრაელის ომს. ირგვლივ ძალიან რთული ვითარებაა და შეიძლება გლობალურ ეკონომიკაში რეცესიის გამომწვევი ფაქტორიც გახდეს. პირველ რიგში, რაც ველოდებით, გლობალურ დონეზე შესაძლოა, საფასო რყევები გამოიწვიოს. ჩვენ საკმაოდ დიდი წარმომადგენლობა გვყავს ისრაელში როგორც ემიგრანტების სახით, ასევე არიან ქართველი ებრაელები, რომლებიც იძულებული გახდებიან, ომს საქართველოში გამოექცნენ. გამოდის, რომ გზავნილების მოცულობა მკვეთრად შეგვემცირდება“, – აღნიშნა **გერლიანმა**.

ამასობაში ისრაელიდან საქართველოში ჯავშნები უკვე უქმდება. სასტუმროების და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელის **შალვა ალავერდაშვილის** ინფორმაციით, ისრაელში საომარი მდგომარეობის გამო ტურიზმის სექტორში ცუდი მოლოდინი აქვთ.

„თუ ეს ვითარება მსხვილმასშტაბიან ომში გადაიზარდა, რასაკვირველია, მსოფლიოსთვის და, კერძოდ, ტურიზმისთვის კარგი პერიოდი არ დადგება და უკვე უნდა დავიწყოთ ფიქრი როგორ მოვიქცეთ. ამასთან, თუ მთელი რეგიონი ჩაერთო ომში, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ისრაელიდან, არამედ ტურისტების ნაკადის მიღება ე.წ. გალფის ქვეყნებიდანაც შეწყდება, ეს კი ჩვენთვის ძალიან დიდი პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ეს ბაზრები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია ჩვენი ტურიზმისთვის. ომი ტურიზმის პირველი მტერია და ამ ეტაპზე, ტურიზმისთვის კარგი არაფერი ხდება“, – აღნიშნა **ალავერდაშვილმა**.



მიმდინარე წელს საქართველოს ისრაელიდან ბევრი ტურისტი ეწვია, თუმცა, ბოლო სამი დღის ვითარებით, სასტუმროებში ისრაელიდან შემოსული ჯავშნები უქმდება.

„ისრაელიდან შემოსული ტურისტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მიმდინარე წელსაც ისრაელი ტურისტების დიდი რაოდენობა გვყავდა, ისინი, ძირითადად, ბათუმში და თბილისში ჩამოდიან, თუმცა, ბოლო სამი დღის მონაცემებით, ომისა და არეულობის ფონზე, ისრაელიდან ჯავშნები უქმდება“, – განაცხადა **ჰოტელიერმა**.

სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ისრაელში არსებულ საომარ ვითარებას ამ ქვეყნიდან წამოსულ ტურისტულ ნაკადებზე დიდი გავლენა ექნება და ეს საქართველოს სტუმარმასპინძლობის სექტორზე აისახება.

„ომი თუ დაიწყო, ისრაელიდან საქართველოში ხალხი ტურისტებად არ ჩამოვა. ისრაელში საომარი მდგომარეობა ტურიზმს პირდაპირ დაარტყამს, თუ ეს კონფლიქტი მალე დამთავრდება, რასაკვირველია, გაგრძელდება მიმოსვლა, ხოლო თუ ხანგრძლივი ომი იქნება, ეს ტურიზმს ცალსახად შეეხება“, – აღნიშნა **ალავერდაშვილმა**.

ისრაელისა და საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობის პერსპექტივაზე საურობს „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელი **იციკ მოშე**. მისი აზრით, თუ ომმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები არ მიიღო, ჯერჯერობით სერიოზული გავლენა არ იკვეთება.

„ომი მოითხოვს მსხვერპლს და ეკონომიკაზე შეიძლება დროებით იქონიოს გავლენა, მაგრამ ისრაელს აქვს საკმაოდ ძლიერი ეკონომიკა. ქვეყანას აქვს არჩეული სწორი ეკონომიკა და სწორი ვექტორი. ომს აქვს თავისი გავლენა, მაგრამ ისრაელის დონის ქვეყანაში, სადაც არის ძლიერი ჯარი, საზოგადოება, რომელიც ომის დროს კიდევ უფრო გაერთიანდა, მჯერა, რომ სწრაფად შეიცვლება ვითარება სასიკეთოდ და ახლა არსებული დაძაბულობას საქართველო-ისრაელის ეკონომიკურ ურთიერთობებზე არ ექნება გავლენა. თუმცა, ინვესტიციების მოზიდვა სულ სხვა პარამეტრებზეა დამოკიდებული, კერძოდ, რამდენად იცნობენ მხარეები ერთმანეთს, როგორია აქტივობა, როგორ დაიცავენ არსებულ ბიზნესს, რა ღონისძიებებს გაატარებენ, რომ მოიზიდონ დამატებით კაპიტალი. ისრაელს აქვს უფრო დიდი საინვესტიციო პოტენციალი, იმის ფონზე, რაც საქართველოში შემოდის. მე მჯერა, რომ მხარეებს შორის ამ კუთხით ურთიერთობები კიდევ უფრო გააქტიურდება“, – განაცხადა **იციკ მოშემ**.

ეკა ბაძრაძე

პოეტის ერთი ლექსი

სოსო ბერიძე

შოვს გისამძიმრებთ!

მომწყდარ მყინვარის
ღვარცოფნაგუბარს,
მეორედ მოსვლის
დღედქცეულ გლოვას,
მოგისამძიმრებთ
ჭანჭახს და გუბაზს,
წარღვნაგამოვლილთ,
ნასოდომგომართ...

ურჩხულს, ღამეულს,
სძინავს — აროდეს,
ბნელს ჩასაფრებულს,
ავსულს ამაზრზენს,
იავარყოფდეს
უფლის ნაბოძებ
უმშვენიერესს,
უსილამაზესს...

ვერ იტანს რაჭა
მსხვერპლს, ამგვარს,
ამდენს...
და ერთგვარ შვებად
უჩნდეს რამ ერთი,
რომ ჭირსა შიგან
ერთ მუშტად ჰკრავდეს
ერთსულოვნება
იმერ-ამერის!..

წყალს უკვდავების
გსამძიმრობ წყაროს
და გფუთავ განძად
იმედის ნარჩენს:
მსგავსმა თუ შენი
ხელყოფაც სცადოს,
ხატი მრავალძლიის
რომ გადაგარჩენს!..

არასოდეს ეომოთ ივერიას!

წმ. სერაფიმე საროველი ივერიაზე

ცნობილია, რომ წმ. სერაფიმე საროველს გამოცხადებით ემცნო: „დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო – ივერია, მეორე – ათონი, მესამე – კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე იქნება „დივეევო“.

მისი სიტყვებია: „არასოდეს ეომოთ ივერიას, რადგან ამით ღვთისმშობელს შეებრძოლებით... ამ მიწაზე მზაკვარი ანტიქრისტე ვერ გამეფდება და უკანასკნელ ჟამს საუფლო ტრაპეზზე ღვინო ივერიიდან მოვა...“ დიდება უფალს! ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. გვწყალობდეს ღმერთი!

გურამ საღარაძე,

ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი,
მსოფლიოს ორგბის ჩემპიონი ჭიდაობაში



ქუთაისში „სამოქალაქო თეატრი“ დაარსდა

პირველი პერფორმანსი დასმა ისრაელის თავისუფლებისთვის გრძოლას მიუძღვნა. „სამოქალაქო თეატრი“ ქუთაისში ჟურნალისტების, ახალგაზრდა მსახიობებისა და მუსიკოსების ერთობლიობით შეიქმნა.

სამოქალაქო თეატრის დამფუძნებლის ზეკო ხაჩიძის განცხადებით, ასეთი სახის თეატრის შექმნა საქართველოში პირველი პრეცედენტია. მათი პერფორმანსი კი ორი ნაწილისგან შედგება და იგი ისრაელის მხარდასაჭერ სამოქალაქო აქტს წარმოადგენს.

დავით ციმაკურიძის პირველი ოჯახური რთველი საკეციაში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, სოფელ საკეციაში, დავით ციმაკურიძის ოჯახურ რთველში მიიღო მონაწილეობა. სოფელ საკეციაში, მევენახე დავით ციმაკურიძეს მუჯურეთულის, ალექსანდროულის, ცოლიკაურის და ციცქას ჯიშის ყურძენი 15 ჰა ფართობზე აქვს გაშენებული.

მევენახის რთველში, მინისტრთან ერთად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული პაპუნა მარგველიძე და მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ენუქიძე იმყოფებოდნენ.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად განხორციელებული სუბსიდირების მეშვეობით, მევენახეები იღებენ კარგ შემოსავალს. ვფიქრობთ, რომ წელს, რაჭაში, დაახლოებით 1500 ტონაზე მეტი იქნება მოსავალი. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ დარგის განვითარებას და ვენახების გაშენების პროცესს. გვაქვს ახალი პროგრამა მაღალმთიანი რეგიონებისთვის, რომლის ფარგლებშიც ვაფინანსებთ სამეწარმეო საქმიანობას, მათ შორის არის მარნების მოწყობის დაფინანსება, ახალი საწარმოების შექმნა, რაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მევენახემ შეძლოს ღვინის დაწურვა, დაყენება და უფრო მაღალი შემოსავლით მისი რეალიზება; საკმაოდ მევრი განაცხადია შემოსული ახალი პროგრამით სარგებლობაზე. ჩვენ გავაგრძელებთ ამ პროცესს იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ სექტორის განვითარებას“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მინისტრმა დავით ციმაკურიძის ღვინის მარანიც – „საკეციის მარანი“ დაათვალიერა, რომელიც მევენახე ფერმერმა სოფლის განვითარების სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების“ პროექტით თანადაფინანსებით გახსნა. შპს „საკეციის მარანს“ წლიურად 15 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავება შეუძლია. მარანში წელს პირველად დააყენებენ ღვინოს.

ქართველი მომღერლის წარმატება გერმანულ VOICE-ში

კიდევ ერთი –19 წლის ქართველმა მომღერალმა ლიზი გოზალიშვილმა გერმანულ Voice-ის შესარჩევ ტურში მაიკლ ჯექსონის სიმღერა Earth Song იმღერა.

მომღერალი სცენაზე უკრაინის დროშის ფერებში ჩაცმული გავიდა და განაცხადა, რომ იგი საქართველოდანაა.

„ასეთი კონტროლის ქონა ამ სიმღერაზე ისე, რომ შენს სიმღერად აქციო, თითქმის შეუძლებელია. ყველამ იცის ეს სიმღერა, ყველას უმღერია ან მოუსმენია. აქამდე არავინ მინახავს, რომ ვინმეს ასე თავისად ექცია, ისე კარგად, როგორც – შენ“, – უთხრა სიმღერის შესრულების შემდეგ ქართველ მომღერალს ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა. ამის შემდეგ მათ მაიკლ ჯექსონის ცნობილი ჰიტი დუეტში იმღერეს.

კითხვაზე, თუ რატომ აირჩია Earth Song, ქართველმა მომღერალმა განაცხადა: „სიმღერა ისეთ თემას ეხება, რაც ძალიან აქტუალურია. მსოფლიოში დღეს ისევ ომია. მე საქართველოდან ვარ. ჩემმა ქვეყანამაც არაერთხელ გადაიტანა ომი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ სიმღერით მე ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წ.ერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა მაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიძიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იგეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს

შცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6719; ევრო - 2.8215;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2629;
100 რუბლი - 2.6621; თურქული ლირა - 0.0967;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5732;
1000 სომხური დრამი - 6.5770

ამინდი 16 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+7,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე +20
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+11,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე +23
თბილისი:	ღამე	+12,	დღე +21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: wwwsakresp.ge